პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი.
№ 199 (12113)
ხუთშაბათი, 31 აგვისტო, 1961 წ.
ფასი 2 კაპ.

სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად

სოხუმი. (საქ. კორ.). პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში შესანიშნავ წარმატებებს აღწევს სოხუმის საკონსერვო ქარხნის კოლექტივი. ამჟამად აწარმოებენ კომპოტებს, მურაბას, ჯემს, მალე დაიწყება ლეღვის გადამუშავება. საწარმოს კოლექტივმა აგვისტოს ორ დეკადაში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 130 ათასი ქილა ზეგეგმითი კონსერვი.

ახალი მოსავლიდან დამზადებული 16 ვაგონი კონსერვი ამას წინათ გაიგზავნა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში. ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს თვის ბოლომდე დამატებით კიდევ გაგზავნოს 200 ათასზე მეტი ქილა კონსერვი.

სოხუმელმა მეკონსერვეებმა მიმდინარე წლის გასულ შვიდ თვეში 17 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია დაზოგეს, მთელი სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება ხუთი ათასი მანეთით შეამცირეს.

ტყიბული. (საქ. კორ.). ტყიბულქვანახშირის ტრესტმა 23 [illegible] გადაჭარბებით შესრულა რვა თვის გეგმა, [illegible] ნაყოფიერება და შეამცირა ტონა ქვანახშირის თვითღირებულება. ამის შედეგად შვიდ თვეში დაზოგილია 56 ათასი მანეთი.

ტრესტის შახტების კოლექტივმა ვალდებულება იკისრეს სკკპ XXII ყრილობის გახსნის დღისათვის ამოეღოთ 10 ათასი ტონა ზეგეგმითი სათბობი. ეს ვალდებულება დიდი გადაჭარბებით არის შესრულებული. რვა თვეში გეგმის გადამეტებით ამოღებულია 18 ტონა ქვანახშირი.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

ხალხები ახლა ნატოს სამხედრო ბლოკის პოლიტიკის სულ უფრო მზარდი აგრესიულობის მოწმენი არიან. ამერიკის შეერთებული შტატები და მათი მოკავშირენი სულ უფრო ძლიერ ატრიალებენ თავიანთი სამხედრო მანქანის ჩარხს, უმაგალითო მასშტაბით აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, ზრდიან არმიების რაოდენობას, უკიდურეს დაძაბულობამდე მიჰყავთ საერთაშორისო ვითარება. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მოკავშირე ქვეყნების ხელმძღვანელი მოღვაწენი მიმართავენ მუქარას, იარაღს ავიღებთ და ომს გავაჩაღებთ იმის პასუხად, თუ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან საზავო ხელშეკრულება დაიდებაო.

ამ ფაქტების წინაშე, რომლებმაც არ შეიძლება არ დაგვაფიქროს, საბჭოთა მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია ყოველი ღონე იხმაროს, რათა საბჭოთა კავშირი სავსებით მზად იყოს იმისათვის, რომ უვნებელყოს ყოველი აგრესორი, თუ იგი შეეცდებოდა მოეხდინა თავდასხმა. ადამიანებს ძალიან კარგად ახსოვთ ტრაგედია დიდი სამამულო ომის პირველი თვეებისა, როცა ჰიტლერი თავს დაესხა სსრ კავშირს, უზრუნველყო რა თავისი უპირატესობა საბრძოლო ტექნიკის მხრივ და ამიტომ ახლა აღარ დაუშვებენ ამას. აი რატომ არის, რომ საბჭოთა მთავრობამ უკვე მიიღო მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებანი სსრ კავშირის უშიშროების განსამტკიცებლად. იმავე მიზეზით ამ საკითხის ღრმა და ყოველმხრივი მოფიქრების შემდეგ მან მიიღო გადაწყვეტილება—განახორციელოს ატომური იარაღის ექსპერიმენტული აფეთქება.

საბჭოთა კავშირის მთავრობას სავსებით შეგნებული აქვს, თუ რა დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგებია ეს სერიოზული ნაბიჯი, და საჭიროდ მიაჩნია განუმარტოს საბჭოთა ხალხსა და მთელ კაცობრიობას აზრი და მნიშვნელობა ამ გადაწყვეტილებისა, რომლის ერთადერთი მიზანია ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა თავიდან ავიცილოთ ის კატასტროფა, რაც გახდებოდა მესამე მსოფლიო ომი ჩვენი პლანეტის ასეულ მილიონობით მცხოვრებისათვის.

ის, ვინც ახალ მსოფლიო ხოცვა-ჟლეტას ამზადებს, ახლა ილუზიებს თესავს, თითქოს ახალ ომში, თუ კი იგი დაიწყება, გამოყენებული არ იქნება თერმოატომგულის იარაღი. მაგრამ ეს ხალხების მოტყუებაა. ისტორიის გამოცდილება გვასწავლის, რომ ომის ხანძარი არასოდეს არ შეჩერებულა წინასწარ გათვალისწინებულ საზღვრებში. ომებს თავისი ულმობელი სასტიკი კანონები აქვს. აგრესორი იმისათვის იწყებს ომს, რომ წამოაჩოქოს თავისი მსხვერპლი, თავს მოახვიოს მას თავისი ნება. მაგრამ აგრესორსაც ესმის, რომ დამარცხების შემთხვევაში თვითონ მას ის ბედი ეწევა, რომელსაც უმზადებდა თავის მსხვერპლს. ამიტომ ომში მონაწილე ყოველი სახელმწიფო, განურჩევლად იმისა, თავს ესხმის იგი თუ თავს იცავს, არაფერს არ ერიდება, ოღონდ მოიპოვოს გამარჯვება და არ ცნობს თავის დამარცხებას, თუ არ გამოიყენა და არ დახარჯა ომის წარმოების ყველა საშუალება, რომლებიც მას მოეპოვება. ამ პირობებში ყოველგვარი შეიარაღებული კონფლიქტი, თუნდაც თავდაპირველად უმნიშვნელო, თუ მასში ჩათრეული აღმოჩნდებიან ატომური სახელმწიფოები, უცილობლად გადაიზრდებოდა საყოველთაო რაკეტულ-ატომურ ომად.

საბჭოთა ადამიანებისათვის, რომლებმაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ გამოსცადეს ომი საკუთარ სახლში და სრულიად წარმოუდგენელი ზარალი ნახეს მშვიდობის აღდგენისათვის, განსაკუთრებით მახლობელი და გასაგებია ხალხთა მისწრაფება—ბოლო მოუღონ გამალებულ შეიარაღებას, სამუდამოდ აიცილონ თავიდან გამანადგურებელი ომები. მაგრამ ყოველივე, რაც ადამიანებმა გადაიტანეს წარსულ ომებში, იჩრდილება იმ საშინელებათა წინაშე, რომლებიც შეიძლება თავს დაატეხოს მათ მხოლოდ რამდენიმე თერმოატომურმა ბომბმა. დღეს კი დიდ სახელმწიფოთა არსენალებში არა ათობით და ასობით, არამედ ათასობით ასეთი ბომბია. საბჭოთა კავშირმა, რომელიც ერთ-ერთი ატომური სახელმწიფოა, შეიძინა საკმაო მეცნიერული და ტექნიკური ცოდნა ახალ სახეობათა იარაღის დამანგრეველი ძალის შესახებ, თერმოატომური ჭურვების მიზანთან მიტანის საშუალებათა შესახებ და ასეთი იარაღის გამოყენების შედეგების შესახებ, რათა სავსებით წარმოვიდგინოთ თანამედროვე ომის ხასიათი.

საბჭოთა სახელმწიფომ პირველმა აღიმაღლა ხმა საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისათვის. მან არაერთხელ შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ მიზნის მიღწევას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან, საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილებსა და გამოსვლებში, ყველგან, სადაც მოლაპარაკების მაგიდასთან სოციალისტური ბანაკის წარმომადგენლები ხვდებოდნენ დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებს, გაისმოდა საბჭოთა კავშირის გულწრფელი და მგზნებარე მოწოდება—შევთანხმდეთ იმაზე, რომ სამუდამოდ და უმკაცრესი საერთაშორისო კონტროლით მოისპოს ყველა სახეობის შეიარაღება—უკანასკნელ ბომბამდე და უკანასკნელ ყუმბარამდე, დავშალოთ არმიები—უკანასკნელ ჯარისკაცამდე, მთლიანად გავაუქმოთ გენერალური შტაბები და სამხედრო უწყებანი.

გადაჭარბებული არ იქნება მივიჩნიოთ, რომ უკვე დღეს კაცობრიობა შეძლებდა ეცხოვრა მსოფლიოში, სადაც არ არის იარაღი და სადაც არ არის არმიები, თუ კი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და დასავლეთის სამხედრო ბლოკების მონაწილე ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს მთავრობები გამოიჩენდნენ საპასუხო მისწრაფებას ამისადმი.

განიარაღების მოწინააღმდეგეებს კვლავ ისე მოაქვთ თავი, თითქოს განიარაღების შესახებ შეთანხმებისათვის დაბრკოლებაა საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის სახელმწიფოთა სხვადასხვაგვარი მიდგომა კონტროლის საკითხისადმი. არავინ არ უარყოფს — განიარაღებისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესება, რაც სახელმწიფოთა ყველაზე მგრძნობიარე ინტერესებს—მათი უშიშროების ინტერესებს შეეხება, რთული და დელიკატური საქმეა. კონტროლის საკითხი, მართლაც, მრავალი წლის განმავლობაში დაბრკოლებას წარმოადგენდა განიარაღების შესახებ შეთანხმების გზაზე. ეს იმიტომ მოხდა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები კონტროლს იყენებდნენ საბაბად, რათა ჩაეფუშათ ყოველი წინადადება განიარაღების შესახებ. ისინი წინათაც არასოდეს არ ისწრაფოდნენ განიარაღებისადმი კონტროლს. ყველაზე მკაფიოდ ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან თქვა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა, რომელმაც არაორაზროვნად განაცხადა, რომ საქმე ეხება არა განიარაღებისადმი კონტროლს, არამედ შეიარაღებისადმი კონტროლს.

რომ არ დაღუპულიყო საქმის არსი — თვითგანიარაღება, საბჭოთა მთავრობამ პირდაპირ განაცხადა, რომ იგი მზად არის წინასწარ მიიღოს დასავლეთის სახელმწიფოთა ყოველი წინადადება საერთაშორისო კონტროლის შესახებ. დასავლეთის სახელმწიფოებისაგან კი ამასთან მოველოდით მხოლოდ ერთ რამეს — შეერთებოდნენ ჩვენს წინადადებებს საყოველთაო განიარაღების შესახებ და შემოეტანათ თავიანთი წინადადებანი საყოველთაო კონტროლის შესახებ. მაგრამ მოხდა უცნაური საქმე — იმათ, ვინც აქამდე ამდენ ზრუნვას გამოთქვამდა საერთაშორისო კონტროლის თაობაზე, თითქოს მეტყველების უნარი დაკარგეს, როცა მათ მიეცათ სრულიად შეუზღუდველი შესაძლებლობა ჩამოეყალიბებინათ და განეხორციელებინათ თავიანთი იდეები საერთაშორისო კონტროლის სისტემის შესახებ!

რით უნდა აიხსნას, რომ დასავლეთის სახელმწიფოების მხრივ დღემდე არ ყოფილა კონკრეტული წინადადებანი ამის შესახებ? ეს შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმის შიშით, რომ საბჭოთა კავშირი დაეთანხმება მათს წინადადებებს კონტროლის შესახებ და დასავლეთის სახელმწიფოებს მოუხდებათ ან დათანხმდნენ საყოველთაო და სრულ განიარაღებაზე, ან ბოლომდე გამოიაშკარაონ თავი როგორც განიარაღების მოწინააღმდეგეებმა, ხოლო ამასთანავე აგრეთვე როგორც განიარაღებისადმი კონტროლის მოწინააღმდეგეებმა.

ჩვენს დროში მთავარია საყოველთაო და სრული განიარაღება, ხოლო შეთანხმება ასეთი განიარაღების შესახებ ამოწურავდა ატომური იარაღის გამოცდის საკითხსაც. მართლაც, როცა შეწყდება გამალებული შეიარაღება, ხოლო დაგროვებული იარაღი მოისპობა, მაშინ აღარ იქნება მისი სრულყოფის და, მაშასადამე, ექსპერიმენტულ ატომურ აფეთქებათა მოწყობის არც ერთი სტიმული, და, პირიქით, მარტო შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ თავისთავად ვერ მოუღებს ბოლოს გამალებულ შეიარაღებას. იმ სახელმწიფოებს, რომლებიც უკვე ფლობენ ატომურ იარაღს, გარდუვალად ექნებათ ცთუნება — იმოქმედონ ასეთი შეთანხმების გვერდის ავლით, ეძებონ სულ ახალი და ახალი გზები და საძრომები იარაღის სრულყოფისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ გამოცდა, რომელსაც მოაწყობს სამი-ოთხი სახელმწიფო, სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ განუსაზღვრელად აგროვონ არსებული ნიმუშების უაღრესად საშიში თერმოატომური იარაღი.

თავიანთ მხრივ სახელმწიფოები, რომლებსაც ჯერ არა აქვთ თერმოატომური იარაღი, ეცდებიან შექმნან იგი, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს შეთანხმება, რომლითაც აკრძალულია ატომური იარაღის გამოცდა. აქვე უნდა ითქვას, მათ შეუძლიათ ამასთან წამოაყენონ მოსაზრებანი, რომელთა გაბათილება ატომური განიარაღების მომხრეებისათვის არც ისე ადვილი იქნება. მართლაც — განა რეალისტურია მივიჩნიოთ, რომ შეიძლება დიდხანს დარჩეს ისეთი მდგომარეობა, როცა ზოგიერთი სახელმწიფოები, რომლებმაც ძალიან წაიწიეს წინ სამხედრო მიზნებისათვის ატომური ენერგიის ათვისებაში, კვლავ შექმნიან დიდძალ ატომურ და წყალბადის ბომბებს მათ მიერ უკვე წარმოებული ექსპერიმენტების საფუძველზე. სხვა სახელმწიფოები კი გულხელდაკრეფილი დაუწყებენ ცქერას იმას, თუ როგორ სულ უფრო და უფრო ჩამორჩებიან ატომურ სახელმწიფოებს თავიანთ სამხედრო ძლიერებაში და, მაშასადამე, თავიანთი უშიშროების უზრუნველყოფის შესაძლებლობებშიც.

არსებული გამოცდილება სხვა რამეს მოწმობს.

იყო დრო, როცა მსოფლიოში არსებობდა ატომური იარაღის მონოპოლია, და შეერთებული შტატები ისწრაფოდნენ თვითონ შეენარჩუნებინათ იგი. სარგებლობდნენ რა იმით, რომ მათ ხელში იყო იარაღი, რომლის ბადალი მაშინ არც ერთ სახელმწიფოს არ ჰქონდა, ამერიკის შეერთებული შტატები სცდიდნენ ატომურ ბომბებს, როცა სურდათ, სადაც სურდათ, სულაც არ უწევდნენ ანგარიშს იმას, თუ რას ფიქრობდნენ და ამბობდნენ ამაზე ხალხები. ამერიკის შეერთებული შტატები არც იმას მოერიდნენ, რომ ეს საშინელი იარაღი გამოეცადათ ცოცხალ ადამიანებზე — ბავშვებზე, ქალებზე, მოხუცებზე, ჩამოაგდეს რა ატომური ბომბები იაპონიის ქალაქებზე ხიროსიმასა და ნაგასაკიზე, ფაქტიურად უკვე დამარცხებული მტრის მიწა-წყალზე. ატომური ბომბის დამუქრებით ისინი, ვინც მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას განსაზღვრავდა, ცდილობდნენ ეკარნახათ თავიანთი ნება-სურვილი თითქმის მთელი მსოფლიოსათვის, გამოეყენებინათ შანტაჟი სოციალისტური ქვეყნების მიმართ. იქმნებოდა მეტად საშიში მდგომარეობა. საბჭოთა ხალხი იძულებული იყო დაერაზმა მთელი თავისი მატერიალური და სულიერი ძალები, რათა გაერღვია ამერიკის შეერთებული შტატების ატომური მონოპოლია, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მშვიდობას, და უაღრესად მოკლე ვადაში შეექმნა საკუთარი ატომური იარაღი. მალე ატომურ სახელმწიფოთა წრე კიდევ უფრო გაფართოვდა. ამ წრეში შევიდა აგრეთვე ინგლისი.

ხალხებმა დროზე გაიგეს, თუ რა საფრთხე მოაქვს გამალებულ შეიარაღებაში სულ ახალი და ახალი ქვეყნების ჩაბმას, და მხურვალედ გამოეხმაურნენ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის მოთხოვნას. ამ მოთხოვნების მედროშე გახდა საბჭოთა კავშირი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე თანმიმდევრულად და შეუპოვრად ცდილობდა იმას, რომ ყველა სახეობის ატომური იარაღის გამოცდა შეწყვეტილიყო ყველგან და სამუდამოდ. ამ მიზნით მან შეწყვიტა ატომური იარაღის გამოცდა ცალმხრივი წესით, თუმცა ასეთი აქტი მისი მხრივ გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, რამდენადაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა იმ დროისათვის მეტი რაოდენობით განახორციელეს ატომური აფეთქებანი, ვიდრე საბჭოთა კავშირმა. სწორედ საბჭოთა კავშირის ინიციატივისა და ღონისძიებათა მეოხებით დაიწყო მოლაპარაკება სამ ატომურ სახელმწიფოს შორის ჟენევაში. ამ მოლაპარაკების მსვლელობაში საბჭოთა მთავრობა მოთმინებით ეძებდა ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებებს, არაერთხელ გადადგა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სურვილებისათვის ანგარიშის გასაწევად.

მაგრამ რა ხაზი დაუპირისპირეს საბჭოთა მთავრობის ნათელ და პატიოსან პოზიციას დასავლეთის სახელმწიფოებმა?

საბჭოთა კავშირმა ცალმხრივ შეწყვიტა ატომური იარაღის გამოცდა, მათ კი იმით უპასუხეს, რომ მოაწყეს ატომური ბომბების აფეთქებათა სერია, რომელიც უმაგალითო იყო თავისი ინტენსივობით. საბჭოთა კავშირის არაერთ ცდას — ერთმანეთთან დაეახლოებინა მოლაპარაკების მონაწილეთა პოზიციები — ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები ყოველთვის იმით უპასუხებდნენ, რომ უარყოფდნენ საკუთარ წინადადებებს, რომლებსაც ისინი ჯერ კიდევ გუშინ იცავდნენ, პირდაპირ ყველაფერს აკეთებდნენ, ოღონდ არ დაეშვათ თანხმობის მიღწევა. არსებითად მათ ხაზი გადაუსვეს მეცნიერი ექსპერტების, მათ შორის თავიანთი საკუთარი — ამერიკელი და ინგლისელი მეცნიერი ექსპერტების ერთსულოვნად მიღებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს ატომურ აფეთქებათა აღმოჩენის მეთოდების და ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის თაობაზე ხელშეკრულების დაცვისადმი შესაბამისი კონტროლის უზრუნველყოფის შესახებ.

დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები დაჟინებით აყენებდნენ და ახლაც აყენებენ მოთხოვნას, რომ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულება არ შეიცავდეს მიწისქვეშა ატომურ აფეთქებათა მოწყობის აკრძალვას. ამავე დროს საქმეში ჩახედული ყოველი ადამიანისათვის აშკარაა, რომ ასეთ აფეთქებათა მოწყობა, ამავე დროს კიდევაც რომ ამტკიცებდნენ, ეს აფეთქებანი მშვიდობიანი მიზნით ეწყობაო, სხვა არა არის რა, თუ არ არსებული ატომური იარაღის სრულყოფის ან მისი ახალი ნიმუშების დამუშავების ფარული ფორმა. თუ ასაფეთქებელი ატომური მოწყობილობა, მაგალითად, გამოდგება „გრუნტის გადასაადგილებლად“, — ხოლო ასეთ აფეთქებათა მოწყობის უფლების მიღება თვითონ უნდათ დასავლეთის სახელმწიფოებს, — იგივე ასაფეთქებელი მოწყობილობა გამოდგება სამხედრო მიზნებისთვისაც. ამრიგად, სიტყვიერად მოითხოვენ რა

(დასასრული მე-2 გვერდზე.).

მოწონება, მხარდაჭერა, ერთიანობა

საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს და მხურვალედ იწონებს ჩვენი პარტიისა და მთავრობის თანამიმდევრულ განუხრელ პოლიტიკას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის, ხალხთა შორის მეგობრობის შენარჩუნებისათვის, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისათვის.

კრებებზე, მიტინგებზე. საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებთან ერთად, საქართველოს მშრომელები გულწრფელ მადლობას უცხადებენ კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, გერმანიის საკითხში ასეთი პრინციპულობის გამოჩენისათვის, მხურვალედ მიესალმებიან ძმურ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, მხარს უჭერენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებას, ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა და ზემდეგთა თადარიგში დათხოვნის ვადის დროებით გადადების შესახებ, რომლებმაც მოიხადეს ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადები.

◆ ◆ ◆

ბრძნული ღონისძიება

რუსთავი. (საქ. კორ.). ქალაქის საწარმოებში და დაწესებულებებში დიდი ინტერესით განიხილავენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებას ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა და ზემდეგთა თადარიგში დათხოვნის ვადის დროებით გადადების შესახებ.

მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ხალხმრავალ მიტინგზე სიტყვით პირველი გამოვიდა უფროსი მვალცავი გ. არაბიძე.

მან თქვა: კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რათა შენარჩუნებულ იქნას მშვიდობა მთელ მსოფლიოში. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ საბჭოთა მთავრობამ ცალმხრივი წესით გააუქმა ყველა სამხედრო ბაზები სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე და არსებითად შეამცირა შეიარაღებული ძალების რიცხვი. მიუხედავად ამისა, იმპერიალისტური სახელმწიფოები კვლავ განაგრძობენ შეიარაღების გაძლიერებას, ემზადებიან ახალი ომისათვის. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იმპერიალისტების ამ უგუნურ მზადებას ომისათვის გულგრილად ვერ შეხვდებოდნენ და მიიღეს სავსებით სწორი გადაწყვეტილება ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა და ზემდეგთა თადარიგში დათხოვნის ვადის დროებით გადადების შესახებ.

ჩვენ ერთსულოვნად ვიწონებთ მთავრობის ამ გადაწყვეტილებას და ამავე დროს მხარს ვუჭერთ ჩვენი ქვეყნის იმ საწარმოთა კოლექტივებს, რომლებმაც განაცხადეს, რომ, თუ სამშობლო მოითხოვს, მზად არიან გადავიდნენ 8-საათიან სამუშაო დღეზე. უფრო გავადიდებთ მუშაობის ტემპს, მივცემთ სამშობლოს მეტ პროდუქციას.

მშვიდობის პოლიტიკა

გადაწყვეტილება იმ ჯარისკაცთა, მატროსთა სერჟანტთა და ზემდეგთა თადარიგში დათხოვნის ვადის დროებით გადადების შესახებ, რომლებმაც მოიხადეს ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადები, კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ჩვენი ქვეყანა აქტიურად და თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას.

მეცნიერებმა, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესება წარმოადგენს, მხოლოდ მშვიდობიან პერიოდში შეიძლება შეასრულოს თავისი საკაცობრიო დანიშნულება.

სიმართლე და სამართლიანობა ჩვენს მხარეზეა. ქართველი მეცნიერები მზად ვართ ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ იმპერიალისტთა მიერ ახალი ომის გაჩაღების გზაზე მტკიცე ზღუდე აღიმართოს.

აკადემიკოსი ს. დურმიშიძე.

ჩვენი პასუხი

გუშინ, საღამოს ოთხ საათზე, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ვეებერთელა კორპუსებს შუა ვრცელ მოედანზე თავი მოიყარეს საწარმოს მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა. ისინი შეიკრიბნენ, რათა თავიანთი კოლექტიური აზრი გამოეთქვათ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებაზე — გადაიდოს თადარიგში დათხოვნა იმ სამხედრო მოსამსახურეებისა, რომლებმაც უკვე მოიხადეს ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადები.

— ყველა ჩვენგანისათვის ნათელია, თუ რით არის გამოწვეული ეს ღონისძიება, — თქვა პარტიული კომიტეტის მდივანმა ს. სარიშვილმა. ჩვენი პარტიის საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება კიდევ ერთი გაფრთხილებაა იმის შესახებ, რომ ომის გამჩაღებლები საკადრის პასუხს მიიღებენ.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. პაპინაშვილმა, ზეინკალმა ლ. ჯიბლაძემ, და სხვ.

მიტინგის მონაწილეებმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნეს დეპეშა, სადაც ნათქვამია, რომ ელმავალმშენებლები ერთხმად იწონებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას.

ვიყოთ ფხიზლად!

მშვიდობა ყველაზე საყვარელ სიტყვად მიაჩნიათ მსოფლიოს პროგრესულ, კეთილი ნების ადამიანებს. მშვიდობას ეტრფიან თავისუფლებისმოყვარე ხალხები დედამიწის ყველა კუთხეში.

ამიტომ არის რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებას — დროებით გადაიდოს სამხედრო სამსახურში ვალმოხდილთა თადარიგში დათხოვნა — ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მთელმა საბჭოთა ხალხმა.

გონივრული, დროულია ეს გადაწყვეტილება. ჩვენ გვჯერა, რომ თუ აგრესორები ომს გააჩაღებენ, ისინი გასრესილ იქნებიან. ყველა ჩვენგანი მშვიდობის გამარჯვების რწმენით უნდა მუშაობდეს და მტკიცედ, ფხიზლად იდგეს თავის საგუშაგოზე, თავისი შემოქმედებითი შრომის უბანზე.

რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივის დავალებით:
თეატრის დირექტორი დ. ანთაძე, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დ. ალექსიძე, პარტორგანიზაციის მდივანი კ. მახარაძე.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებას „ჯარისკაცთა, მატროსთა, სერჟანტთა და ზემდეგთა თადარიგში დათხოვნის ვადის დროებით გადადების შესახებ“ საბჭოთა ხალხი დიდი მოწონებით შეხვდა, მიიღო იგი, როგორც მშვიდობის განმტკიცების უდიდესი ღონისძიება.

სურათზე: ხალხმრავალი მიტინგი ელმავალსამშენებლო ქარხანაში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

(დასასრული)

ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტას, ამერიკის შეერთებული შტატები, აგრეთვე ინგლისი ნამდვილად სულ სხვა რამისათვის ზრუნავენ — იმისათვის, რომ როგორმე ჩაამონტაჟონ ხელშეკრულებაში საძრომები თერმოატომური იარაღის შემდგომი სრულყოფისათვის, რისთვისაც მოაწყონ მიწისქვეშა აფეთქებანი ანდა აფეთქებანი ეგრეთწოდებული მშვიდობიანი მიზნებისათვის.

საბჭოთა მთავრობის წინადადება იყო შევთანხმებულიყავით იმაზე, რომ საერთაშორისო საკონტროლო ორგანოში თანაბრად ყოფილიყვნენ წარმოდგენილი და კონტროლის თანაბარი შესაძლებლობა ჰქონოდათ სოციალისტურ სახელმწიფოებს, კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, რომლებიც სამხედრო ბლოკებში შედიან, და ნეიტრალისტურ ქვეყნებს. ამის საწინააღმდეგოდ დასავლეთის სახელმწიფოებს შემოჰქონდათ წინადადებანი, რომელთა განხორციელება მათ ჩააყენებდა უპირატეს მდგომარეობაში საბჭოთა კავშირის წინაშე, ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ამ სახელმწიფოებს საშუალებას მისცემდა განუყოფლად ებატონათ საკონტროლო ორგანოში, დაეფარათ საბჭოთა კავშირის ტერიტორია ჯაშუშური ცენტრების მთელი ქსელით, ვითომდა საკონტროლო საგუშაგოებისა და ჯგუფების სახით.

ჟენევის მოლაპარაკების მთელი მსვლელობა გვარწმუნებს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა მიზნად დაისახეს ფაქტიურად დააკანონონ იმ სახეობათა ატომური იარაღის გამოცდა, რომელთა განხორციელებაც მათ აინტერესებთ, და შექმნან საერთაშორისო საკონტროლო ორგანო, რომელიც იქნებოდა მორჩილი იარაღი მათ ხელში და არსებითად დასავლეთის სახელმწიფოთა გენერალური შტაბების დანამატი. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენელთა ფარისევლური განცხადებანი გამოცდის შეწყვეტისა და საერთაშორისო კონტროლის თემაზე შემოწმებისას მხოლოდ შენიღბვა აღმოჩნდა.

იმისათვის, რომ ჩიხიდან გამოეყვანა მოლაპარაკება, საბჭოთა მთავრობამ წინადადება შეიტანა დაუკავშირონ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხის გადაჭრა საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემას. ეს დიდმნიშვნელოვანი წინადადება წამოყენებული იყო სამახსოვრო ბარათში, რომელიც გადაცემულ იქნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის შეხვედრისას ვენაში. საბჭოთა მთავრობის ამ ინიციატივამ შექმნა დამატებითი შესაძლებლობანი იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი განიარაღების ყველა საკითხზე, და, რაც განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია, იგი სპობდა დაბრკოლებებს ყველაზე ფართო და ყოვლისმომცველი საერთაშორისო კონტროლის დაწესებისათვის, მათ შორის ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისადმი.

როგორ მოეკიდნენ დასავლეთის სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის ახალ ცდას— გააადვილოს ურთიერთგაგების მიღწევა? ნაცვლად საბჭოთა წინადადებების საქმიანი განხილვისა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებმა ამჯობინეს დაემახინჯებინათ ამ წინადადებათა შინაარსი და მოეჩმახათ ჭორები საბჭოთა კავშირის განზრახვის შესახებ. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების პასუხისმგებელმა წარმომადგენლებმა დაიწყეს არაორაზროვანი ნართაული ლაპარაკი, რომ უახლოეს მომავალში ამერიკის შეერთებული შტატები განაახლებენ ატომური იარაღის გამოცდას.

საბჭოთა მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია მსოფლიოს ხალხთა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროს იმ ფაქტს, რომ ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამუშავებენ ნეიტრონის ბომბის — ისეთი ბომბის შექმნის პროექტებს, რომელიც მოსპობდა ყოველივე ცოცხალს, მაგრამ ამავე დროს არ გაანადგურებდა მატერიალურ ფასეულობებს. მხოლოდ აგრესორებს, რომლებიც ოცნებობენ ძარცვა-გლეჯაზე, სხვისი მიწების დაპყრობაზე და სხვის ქონებაზე, შეუძლიათ წარმართონ მეცნიერთა ღონისძიებანი ასეთი იარაღის შესაქმნელად. ადამიანთა განადგურებით მათ სურთ ისარგებლონ თავიანთ გაჟლეტილ მსხვერპლთა შრომის ნაყოფით, მათ მიერ შექმნილი სიმდიდრით. ეს მტარვალთა მორალია. ნეიტრონის ბომბის შექმნის გეგმები აშიშვლებენ თანამედროვე იმპერიალიზმის მთელ კაცთმოძულეობით არსს, იმპერიალიზმისა, რომელსაც უკვე აღარ სურს დაკმაყოფილდეს მშრომელ ადამიანთა უმოწყალო ექსპლოატაციით და მოგებისათვის მზად არის ჩაიდინოს დანაშაული, რომელიც თავისი საზარელობით დაჩრდილავს მოგონებებს ჰიტლერელ ჯალათთა გაზის კამერებსა და სულსახუთავებზე.

საიდუმლო როდია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დგანან მიწისქვეშა ატომურ აფეთქებათა განხორციელების მიჯნაზე და მხოლოდ ეძებენ პირველ გამოსადეგ საბაბს, რათა დაიწყონ ასეთი აფეთქებანი. მაგრამ ვის არ ესმის, რომ რაკი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას განზრახული აქვს განაახლოს ატომური იარაღის გამოცდა, ეს მხოლოდ დროის საკითხია.

საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია გვერდი აუაროს იმ ფაქტსაც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე ნატოში — საფრანგეთი უკვე დიდი ხანია აწარმოებს ატომური იარაღის გამოცდას. იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი თავს იკავებდა ატომური იარაღის გამოცდისაგან, ცდილობდა მოლაპარაკების მაგიდასთან მიეღწია შეთანხმებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ინგლისთან გამოცდის ყველგან შეწყვეტის შესახებ, საფრანგეთი ზედიზედ ახორციელებდა ატომურ მოწყობილობათა აფეთქებებს. იგი კვლავ აკეთებს ამას, მიუხედავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოწოდებისა ყველა სახელმწიფოსადმი — თავი შეიკავონ ასეთი გამოცდისაგან, მიუხედავად მსოფლიოს ყველა ქვეყნის ფართო საზოგადოებრივი წრეების პროტესტებისა, მიუხედავად საბჭოთა კავშირის გაფრთხილებისა, რომ იგი იძულებული გახდება განაახლოს გამოცდა, თუ საფრანგეთი არ შეწყვეტს თავის ექსპერიმენტებს ატომგულის იარაღზე.

საბჭოთა კავშირს სათანადო დასკვნები რომ არ გამოეტანა საფრანგეთის მიერ ატომური გამოცდის წარმოების ფაქტიდან, მაშინ ის და მისი მოკავშირენი უთანასწორო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ინგლისთან, საფრანგეთთან და იმ ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც მათთან ერთ სამხედრო ბლოკს შეადგენენ. დაე იმ ადამიანებმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში, რომლებიც შეიძლება შეაშფოთოს საბჭოთა ატომური იარაღის ექსპერიმენტულმა აფეთქებებმა, წარმოიდგინონ, რომ არა მათი მოკავშირე— საფრანგეთი, არამედ სსრ კავშირის მოკავშირე, მაგალითად, ჩეხოსლოვაკია აწარმოებდა თერმოატომური იარაღის გამოცდას იმ დროს, როცა ყველა სხვა სახელმწიფოები თავს იკავებდნენ ამისაგან!

როგორ გამოეხმაურებოდნენ ამ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და ნატოს სხვა ქვეყნები ამას? შეურიგდებოდნენ მდგომარეობას, როცა მათი უშიშროების ინტერესებს აშკარა ზიანს აყენებდნენ. მაგრამ ატომური იარაღის გამოცდას აწარმოებს არა ჩეხოსლოვაკია და არა სხვა რომელიმე სოციალისტური ქვეყანა, არამედ საფრანგეთი — ნატოს მონაწილე. განა შეიძლება მოსთხოვო საბჭოთა კავშირს, რომ მან არ გადადგას საპასუხო ნაბიჯი თავისი უშიშროების განსამტკიცებლად? არც ერთ მთავრობას, რომელიც ნამდვილად ზრუნავს თავისი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისა და თავისი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისათვის, არ შეუძლია მოიქცეს სხვანაირად.

თუმცა საფრანგეთის ატომური აფეთქებანი, რაც საჰარაში გაისმის, ჯერჯერობით შედარებით მცირეა სიმძლავრის მხრივ, მაგრამ მათი პოლიტიკური რეზონანსი ბევრად უფრო საშიშია. საფრანგეთის ატომური გამოცდის აფეთქების ტალღამ შეარყია ადამიანთა იმედები დედამიწის ყველაზე შორეულ კუთხეებში, გამოიწვია საყოველთაო გულისწყრომა და აღშფოთება. ამ ტალღამ ჟენევამდეც მიაღწია, ფაქტიურად წალეკა მოლაპარაკების მაგიდიდან წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ერთხელ და სამუდამოდ მოღებოდა ბოლო ატომური იარაღის გამოცდას. ატომური იარაღის გამოცდის განგრძობას, ისევე როგორც საფრანგეთის მთავრობის აქტიურ როლს ნატოს აგრესიულ სამხედრო ბლოკში, ბევრი სამართლიანად უკავშირებს სამარცხვინო კოლონიურ ომს ალჟირში და ბიზერტაზე თავდასხმას ტუნისში.

კანონიერია ვიკითხოთ: სად იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები, როცა საფრანგეთი აფეთქებდა ატომურ მოწყობილობებს აფრიკის კონტინენტზე, აბუჩად იგდებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და მთელი მსოფლიოს ხალხებს? ნაცვლად იმისა, რომ ზეგავლენა მოეხდინათ სამხედრო ბლოკში თავიანთ პარტნიორზე და შეეკავებინათ იგი ატომური იარაღის აფეთქების განხორციელებისაგან, ისინი არსებითად აქეზებდნენ საფრანგეთის მთავრობას. ამას საკმაოდ დამაჯერებლად მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა უარი განაცხადეს მხარი დაეჭირათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციისათვის. რომელიც მოუწოდებდა სახელმწიფოებს არ აწარმოონ ატომური გამოცდა.

მაგრამ საბჭოთა მთავრობა არ იტყოდა მთელ სიმართლეს თუ იგი გაჩუმდებოდა იმაზე. რომ არა მარტო დასავლეთის სამხედრო ბლოკებში შემავალი სახელმწიფოები, არამედ ბევრი სხვა ქვეყანაც, რომლებმაც ხმა მისცეს ამ რეზოლუციას, არსებითად შეურიგდნენ იმას. რომ საფრანგეთის მთავრობამ იმოქმედა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნების საწინააღმდეგოდ, ხალხთა ნების საწინააღმდეგოდ. საბჭოთა მთავრობამ, რასაკვირველია, იცის, რომ ამ სახელმწიფოთა შორის ბევრია ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის გულწრფელი მომხრე. მაგრამ თუ ახლა გამალებულ ატომურ შეიარაღებას კვლავ აქეზებენ, ამ სახელმწიფოთა მთავრობებმა პირდაპირ და პატიოსნად უნდა აღიარონ, რომ ასეთი მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობის გარკვეული წილი მათაც ეკისრებათ, რადგანაც მათ თავის დროზე არ გასცეს საკადრისი პასუხი საფრანგეთის იმ წრეებს, რომლებიც უბიძგებდნენ მსოფლიოს ატომური გამოცდის განგრძობისაკენ.

საბჭოთა კავშირში კარგად არის ცნობილი თერმოატომური იარაღის გამოცდის მავნე შედეგები ცოცხალი ორგანიზმებისათვის და ამიტომ ყოველი ღონისძიება ხორციელდება იმისათვის, რომ მინიმუმამდე შემცირდეს ასეთი შედეგები. დიახ, ატომური იარაღის ყოველი ექსპერიმენტი ადამიანებს შიშს ჰგვრის, სულიერ ტკივილებს აყენებს, და თუ საბჭოთა მთავრობამ მაინც მიიღო გადაწყვეტილება განახორციელოს ატომური იარაღის გამოცდა, ეს მისთვის ადვილი როდი იყო. იგი იძულებული იყო განეხორციელებინა ეს გულისტკივილით, სინანულით და მხოლოდ იმის შედეგად, რომ უაღრესად გულდასმით და ყოველმხრივ შეისწავლა საკითხი. საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო გადაედგა ასეთი ნაბიჯი, რომლის მნიშვნელობასაც იგი სავსებით აფასებს, საერთაშორისო ვითარების ზემოქმედებით, რომელსაც იმპერიალისტური ქვეყნები ქმნიან. ნატოს წამყვანი სახელმწიფოების — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ისე როგორც მთლიანად ამ აგრესიული ბლოკის პოლიტიკა საბჭოთა კავშირს არ უტოვებს სხვა არჩევანს.

საბჭოთა ხალხმა, საბჭოთა მთავრობამ არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ იმას, რომ კვლავ, ისევე როგორც ოცი წლის წინათ, ჩვენი სამშობლოს საზღვრების მისადგომებზე ჩამოწვა ომის ბოროტი ღრუბლები, რომ დასავლეთი გერმანია და გერმანელ მილიტარისტთა ახლანდელი მოკავშირენი საომარი მზადების ციებ-ცხელებამ შეიპყრო. არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის მთავრობები, არამედ აგრეთვე ევროპის მთელი რიგი ქვეყნების მთავრობები, რომელთა ხალხები დიდად დააზარალა ჰიტლერელთა შესევამ, ახლა თავიანთი ხელით ეხმარებიან დასავლეთგერმანელ რევანშისტებს აღიჭურვონ ახალი სამხედრო ავანტიურებისათვის. დასავლეთ გერმანიის შეიარაღების პოლიტიკისათვის პასუხისმგებლობის თავიანთი წილი ეკისრებათ ნატოს ნაკლებად მსხვილი სახელმწიფოების — ბელგიის, დანიის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, საბერძნეთისა და ამ სამხედრო ბლოკის მონაწილეთა მთავრობებსაც. ისინი ვერ ამოეფარებიან ნატოში თავიანთი უფროსი პარტნიორების ზურგს და თვითონ აგებენ პასუხს ამ ბეცი და საშიში პოლიტიკის მთელი მძიმე შედეგებისათვის.

ადენაუერს და მის ზურგსუკან მდგომ ძალებს აღებული აქვთ კურსი, რომ დასავლეთი გერმანია გადააქციონ თავით ფეხთამდე შეიარაღებულ მილიტარისტულ სახელმწიფოდ. ამ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანია რევანში და იმ საზღვრების გადასინჯვა, რომლებიც ევროპაში დაწესდა მეორე მსოფლიო ომის შედეგად. ამჟამად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ცდილობს აინაზღაუროს ჰიტლერული გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის შემდეგ პირველ წლებში დაკარგული, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისსა და საფრანგეთს ჯერ კიდევ მთლიანად არ გაეწყვიტათ კავშირი სამოკავშირეო შეთანხმებებთან, რომლებიც გერმანიის დემილიტარიზაციას ითვალისწინებენ.

ომისშემდგომი თექვსმეტი წელი სავსებით საკმარისი ვადაა იმისათვის, რომ განვსაჯოთ, გამოიტანა თუ არა დასავლეთ გერმანიის ხალხმა სათანადო გაკვეთილები— როგორც ეს მოხდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — მილიტარისტული წარსულიდან, კატასტროფული დამარცხებიდან ორ მსოფლიო ომში, რომლებიც გერმანიამ გააჩაღა. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი რამ იმას მოწმობს, რომ გერმანელი ხალხის ის ნაწილი, რომელიც დასავლეთ გერმანიაში იმყოფება, კვლავ იწამლება რევანშიზმის ბანგით და ნებას აძლევს ახლადმოვლენილ ფიურერებს გაიყოლიონ იგი ომის გზაზე. მაშ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ყოველთვის ბუნდესტაგის არჩევნებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობა მორჩილად აძლევს ხმას კანცლერ ადენაუერს და იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც გერმანელებს ჯიუტად ეწევიან აგრესიის ახალი აქტებისაკენ? გერმანელებმა, რომლებიც ადენაუერს აძლევენ ხმას, არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ ადენაუერი და მისი პოლიტიკის მომხრენი დასავლეთ გერმანიაში ანტიკომუნიზმისა და რევანშის იმავე ლოზუნგებით აღიჭურვნენ, რომლებითაც ჰიტლერი სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას, ხოლო შემდეგ მეორე მსოფლიო ომი გააჩაღა.

ყოველ ხალხს, რა თქმა უნდა, ნება აქვს სახელმწიფო ხელისუფლების საჭე იმ პოლიტიკურ მოღვაწეებს ჩააბაროს, რომლებსაც თვითონ მოისურვებს. მაგრამ სხვა ქვეყნების ხალხებს, რომლებიც არაერთხელ გახდნენ იმის მოწმენი, თუ როგორ მწიფდებოდა მილიტარიზმისა და აგრესიის თესლი გერმანიის შიგნით. ვერავინ ვერ წაართმევს უფლებას აიმაღლონ თავიანთი გამაფრთხილებელი ხმა წარსულის ტრაგიკული მოვლენების გამეორების წინააღმდეგ, ხმა, რომელიც უნდა გაიგონოს ყოველმა გერმანელმა.

ძალიან სამწუხაროა ამის შეგნება, მაგრამ არა მარტო დასავლეთ გერმანიის გერმანელები, არამედ აგრეთვე დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკების მონაწილე ზოგიერთი სხვა ქვეყნის ხალხები ჯერ კიდევ ვერ დგანან ეპოქის მოთხოვნათა დონეზე, ვერ იჩენენ სათანადო აქტივობას, რათა აღკვეთონ ახალი ომისათვის მზადება. ასეთ დასკვნას უკვე ის ფაქტი წარმოშობს, რომ არჩევნებში ისინიც იმ კანდიდატებს, იმ პარტიებს აძლევენ ხმას, რომლებიც შეიარაღების გაძლიერების პოლიტიკის გამტარებელ მთავრობებს ქმნიან. თავს არიდებენ რა მონაწილეობას ღონისძიებებში, რომელთა მიზანია „ცივი ომის“ ლიკვიდაცია და მშვიდობის დაცვა, ისინი ვერასგზით ვერ ბედავენ უარი უთხრან ნდობასა და მხარდაჭერაზე მთავრობებს, რომლებმაც მთელი თავიანთი საქმიანობით ცხადყვეს, რომ არიან საყოველთაო და სრული განიარაღების მოწინააღმდეგენი და გამალებული შეიარაღებისა და ომის ფსიქოზის გაღვივების მომხრენი. თუ ეს ხალხები ვერ იყენებენ თავიანთ შესაძლებლობებს იმისათვის, რომ ალაგმონ მთავრობები, რომლებიც სამხედრო კატასტროფის გზაზე აყენებენ მსოფლიოს, ვერ აერთიანებენ თავიანთ ღონისძიებებს სხვა ხალხებთან, რათა დაამკვიდრონ თავიანთი მისწრაფება განიარაღებისადმი, იმისადმი, რომ ომი განიდევნოს ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებიდან, აქედან შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნა გავაკეთოთ: ამ ქვეყნების ხალხებს ჯერ კიდევ არ გაუღვიძნიათ, არ შეუგნიათ იმ პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე, რომელიც თვითონ მათ აკისრიათ მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

რაც უფრო საგრძნობია დასავლეთ გერმანიის მიერ სამხედრო კონფლიქტის გაჩაღების საფრთხე, მით უფრო აუცილებელი და გადაუდებელი ხდება გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადება, რომელიც დაიცავდა ხალხებს გერმანელი მილიტარისტების მხრივ ახალი ხელყოფისაგან. როგორც ყველამ იცის, სწორედ ამას ცდილობს საბჭოთა კავშირი. მაგრამ საბჭოთა კავშირის მიერ გამოცხადებული იმ მტკიცე გადაწყვეტილების პასუხად, რომ დაიდოს გერმანიის საზავო ხელშეკრულება და ამით საბოლოოდ აღმოიფხვრას მეორე მსოფლიო ომის შედეგები, მას ემუქრებიან მესამე მსოფლიო ომის [illegible].

გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ საბჭოთა წინადადებების პასუხად [illegible] დემონსტრაციაა ის, რომ დასავლეთ ბერლინში შეიყვანეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დამატებითი შეიარაღებული ძალები და შეიტანეს შეიარაღება. დასავლეთის სახელმწიფოთა ჯარის გარნიზონების გაძლიერებისათვის დასავლეთ ბერლინში ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს, არამედ ეს განხორციელდა აშკარად პროვოკაციის და მხოლოდ პროვოკაციის მიზნით, რაც ყველაზე უკეთ იციან იმათ, ვინც მიიღო გადაწყვეტილება ჯარების ამ კონტინგენტის გასაგზავნად დასავლეთ ბერლინში.

საბჭოთა მთავრობა არ შეასრულებდა თავის წმიდათა-წმიდა მოვალეობას თავისი ქვეყნის ხალხების წინაშე, სოციალისტური ქვეყნების ხალხების წინაშე, ყველა ხალხის წინაშე, რომლებიც ესწრაფვიან მშვიდობიან ცხოვრებას, რომ მან მუქარის და იმ საომარი მზადების წინაშე, რომელმაც მოიცვა ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოს ზოგიერთი სხვა ქვეყანა, არ გამოიყენოს მის განკარგულებაში არსებული შესაძლებლობანი ყველაზე ეფექტიან სახეობათა იარაღის სრულყოფისათვის, რომელსაც შეუძლია გონს მოიყვანოს ქედფიცხელი ადამიანები ნატოს ზოგიერთ სახელმწიფოთა დედაქალაქებში.

საბჭოთა კავშირში შემუშავებულია გადიდებული სიმძლავრის — 20-30-50 და 100 მილიონი ტონა ტროტილის სიმძლავრის ატომური ბომბების სერიის შექმნის პროექტები, ხოლო იმ რაკეტების მსგავს მძლავრ რაკეტებს, რომელთა საშუალებითაც მაიორმა ი. ა. გაგარინმა და მაიორმა გ. ს. ტიტოვმა მოაწყეს თავიანთი უმაგალითო კოსმოსური გაფრენა დედამიწის გარშემო, შეუძლიათ ასწიონ და მიიტანონ ასეთი ატომური ბომბები დედამიწის ყოველ წერტილში, საიდანაც შეიძლებოდა მოეწყოთ თავდასხმა საბჭოთა კავშირზე ან სხვა სოციალისტურ ქვეყნებზე. მიუტევებელი დაუდევრობა იქნებოდა არ გამოგვეტანა სათანადო დასკვნები იმ ვითარებიდან, რომელიც შეიქმნა ნატოს სამხედრო ბლოკის აგრესიული პოლიტიკის გამო, და არ გვეზრუნა საბჭოთა სახელმწიფოს, დიდი სოციალისტური ბანაკის, ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს უშიშროებისა და ძლიერების განმტკიცებისათვის.

საბჭოთა მთავრობა ამ განცხადებით მიმართავს არა მარტო საბჭოთა ხალხის მეგობრებს, რომლებსაც სწორად ესმით საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა, არამედ აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების იმ ადამიანებს, რომლებმაც შეიძლება მოისურვონ მკაცრად იმსჯელონ იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მოაწყობს ახალი ნიმუშების თერმოატომური იარაღის გამოცდას. საბჭოთა მთავრობა ამ ნაბიჯს დგამს იმის მტკიცე რწმენით, რომ ხალხები მიხვდებიან ამ ღონისძიების იძულებითს ხასიათს და იმას, რომ იგი გარდუვალია შექმნილ პირობებში. იმისათვის, რომ აგრესორს წავართვათ ცეცხლთან დანაშაულებრივი თამაშის ხალისი, საჭიროა, რომ მან იცოდეს და ხედავდეს. რომ მსოფლიოში არის ძალა, რომელიც მზად არის სავსებით აღჭურვილმა მოიგერიოს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა და უშიშროების ყოველი ხელყოფა და რომ შურისძიების იარაღი საკუთარ ბუნაგში მისწვდება აგრესორს.

საბჭოთა მთავრობა ყოველივე ამას ამბობს არა მარტო იმისათვის, რომ ბოლომდე ნათელი გახადოს მოტივები, რომლებმაც აიძულეს იგი მოაწყოს ამ მომენტში ატომური იარაღის გამოცდა. იგი ამას უწინარეს ყოვლისა იმიტომ მოაგონებს, რომ მთელი მსოფლიოს ხალხებმა იცოდნენ, საიდან არის მოსალოდნელი საფრთხე, რომ მათ თვალი ჰქონდეთ ახელილი მშვიდობის მტრების ხრიკების წინაშე და რომ მათ შეძლონ გააერთიანონ თავიანთი ძალები ამ საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად. დაე იცოდეს ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის შენარჩუნება, რომ მათ შეუძლიათ გაბედულად დაეყრდნონ საბჭოთა კავშირს, მის ტიტანურ ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება იმისათვის, რომ გონს მოიყვანოს ომის ფსიქოზის მოთავენი და შეაჩეროს თანდათან აჩქარებული სრბოლა ახალი ომისაკენ.

საბჭოთა კავშირი განუხრელად ხელმძღვანელობს მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპებით, არავის არ ემუქრება და მით უმეტეს არ აპირებს თავს დაესხას ვისმე, საბჭოთა მთავრობა საქვეყნოდ აცხადებს, რომ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები პირველი არასოდეს არ გამოიყენებენ იარაღს.

საბჭოთა ადამიანები ბედნიერი იქნებოდნენ, თუ ბოლო მოეღებოდა გამალებულ შეიარაღებას, თუ სამუდამოდ მოისპობოდა ატომური იარაღის გამოცდის განხორციელების საჭიროება და ხალხები სამარადისოდ განთავისუფლდებოდნენ იმ მძიმე ტვირთისაგან, რომელიც მათ მხრებზე აწევთ მას შემდეგ, რაც ომი ადამიანთა საზოგადოების ავბედითი თანამგზავრი გახდა.

თუ თვითეული ხალხი, სულ ერთია დიდი თუ პატარა ქვეყნის ხალხი, ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული თუ ისეთი ქვეყნისა, რომელიც ეს-ეს არის იწყებს თავისი ეკონომიკის განვითარებას, ქვეყნისა, რომელიც სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკებში შედის თუ ნეიტრალურ პოლიტიკას მიჰყვება, მთელის ხმით მოითხოვს, რომ საბოლოოდ დაიმსხვრეს სახელმწიფოთა საომარი მანქანა და კაცობრიობამ თავიდან აიცილოს გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხე—ასეც მოხდება. გამოხატავს რა საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს და, როგორც იგი დარწმუნებულია, განიარაღებისა და მშვიდობის ყველა გულწრფელი დამცველის ინტერესებს, საბჭოთა მთავრობა მიმართავს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხებსა და მთავრობებს და მოუწოდებს გაათკეცონ ღონისძიებანი, რათა საყოველთაო და სრული განიარაღების იდეა გადაიქცეს კონკრეტულ საქმებად და რომ ატომური იარაღი არასოდეს აღარ ემუქრებოდეს ადამიანთა სიცოცხლეს. იგი კვლავ ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის ყოველ მომენტში მოაწეროს ხელი შეთანხმებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რომელიც ბოლოს მოუღებდა აგრეთვე თერმოატომური იარაღის გამოცდას.

საბჭოთა მთავრობის მთელი პოლიტიკა მიზნად ისახავს იმას, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობა ემყარებოდეს მშვიდობიან თანაარსებობას, რომ ხალხებმა თავისუფლად განავითარონ ვაჭრობა, გაამდიდრონ ერთმანეთი სულიერი ფასეულობებით და შეეჯიბრონ ერთმანეთს არა იმაში, თუ ვინ უფრო მეტ ნგრევის საშუალებებს აწარმოებს, არამედ იმაში, თუ ვინ შექმნის უფრო მეტ მატერიალურ დოვლათს, რაც ესოდენ ესაჭიროებათ ადამიანებს.

ამ კეთილშობილური მისწრაფებებით გამსჭვალულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტი, რომელშიც განსაზღვრულია პრაქტიკული ამოცანები, რასაც საბჭოთა ხალხი ისახავს უახლოესი ოცი წლისათვის.

საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ხალხის ღონისძიებანი საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლაში ამაოდ კი არ ჩაივლის, არამედ შეუერთდება ყველა სხვა ხალხის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მიღწეულ იქნას მტკიცე, ურღვევი მშვიდობა დედამიწაზე, მშვიდობისა და პროგრესის იდეების ზეიმი.

ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის საქმე გაიმარჯვებს,, აგრესიული ძალების ვარაუდები კი ჩაიფუშება.

ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა კვამე ნკრუმას

იალტა, 29 აგვისტო. (საქდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი დღეს ეწვია განის რესპუბლიკის პრეზიდენტს კვამე ნკრუმას მის რეზიდენციაში ყირიმის სამხრეთ ნაპირზე, სადაც იგი ისვენებს.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და კვამე ნკრუმას შორის მეგობრული საუბარი გაიმართა, რომელმაც გულითად ვითარებაში ჩაიარა.

პრეზიდენტმა ნკრუმამ და მისმა მეუღლემ სადილი გამართეს ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

სუდანის რესპუბლიკაში ლ. ი. ბრეჟნევის მომავალი ვიზიტი

სუდანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ და პრემიერ-მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა იბრაჰიმ აბუდმა სთხოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს ოფიციალური ვიზიტით ეწვიოს სუდანის რესპუბლიკას. ლ. ი. ბრეჟნევი მადლობით დათანხმდა ამ მიწვევაზე.

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად ლ. ი. ბრეჟნევი სუდანში ჩავა 1961 წლის 14 ნოემბერს.

მარგანეცი გეგმის გადამეტებით

ჭიათურა, 30 აგვისტო. (საქდესი). კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა შესანიშნავი წარმატება მოიპოვა სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მან ვადამდე შეასრულა მადნის ამოღების 9 თვის გეგმა. უბნებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ გ. ჭუმბურიძე, ა. ფერაძე, გ. სიკინჭალაშვილი, უკვე ამოიღეს ოქტომბრის ანგარიშში ასობით ტონა მარგანეცი.

ჩვენს დიდ
სამშობლოში

შეხვედრა გ. ტიტოვთან

მოსკოვი, 28 აგვისტო. (საქდესი). დღეს საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში მოსკოვის გარნიზონის გენერლები და ოფიცრები შეხვდნენ საბჭოთა კავშირის გმირს, კოსმონავტ მფრინავს, მაიორ გერმანე ტიტოვს.

სახელმოხვეჭილმა კოსმონავტმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა ისტორიული ფრენა, როგორ გრძნობდა თავს.

— როცა მეკითხებიან, — თქვა გ. ტიტოვმა, — თავს როგორ გრძნობდი გაფრენის წინ, — ყოველთვის ვუპასუხებ: მინდოდა რაც შეიძლება უკეთ შემესრულებინა პარტიისა და მთავრობის დავალება, რადგანაც თანამგზავრი ხომალდით „აღმოსავლეთი-2“ ფრენა ეს ხომ შედეგია უდიდესი მუშაობისა, რომელიც განახორციელეს ჩვენმა მეცნიერებმა, ინჟინრებმა, კონსტრუქტორებმა, მუშებმა...

კოსმონავტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაფრენა ჩინებულად იყო მომზადებული, მთელი ტექნიკა უნაკლოდ მუშაობდა, სამშობლოს ხმა კი მას ყოველთვის ესმოდა.

მაიორმა გ. ს. ტიტოვმა პირობა მისცა დამსწრეთ, რომ საბჭოთა კოსმონავტები კვლავაც შეასრულებენ სამშობლოს ყოველგვარ დავალებას.

იოჰანეს სმუულს ლენინური პრემია გადაეცა

ტალინი, 29 აგვისტო. (საქდესი). დღეს ესტონელ მწერალს იოჰანეს სმუულს საზეიმო ვითარებაში გადაეცა ლენინური პრემიის ლაურეატის საპატიო ნიშანი და დიპლომი ანტარქტიკული საგზაო დღიურის „ყინულის წიგნისათვის“, რომელიც საბჭოთა მკითხველმა შეიყვარა. ეს ნაწარმოები წარმტაცად მოგვითხრობს შესანიშნავ საბჭოთა ადამიანებზე, გმირ მოზამთრეებზე, რომლებიც ყინულოვან კონტინენტს იმორჩილებენ.

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ს. ტიხონოვმა აღნიშნა, რომ „ყინულის წიგნი“ საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის თვალსაჩინო ნაწარმოებია.

თეატრ „ესტონიაში“ შეკრებილმა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა მხურვალედ დაუკრეს ტაში, როცა ნ. ს. ტიხონოვმა მწერალს გადასცა მაღალი ჯილდო. რომელიც უკვდავი ლენინის სახელს ატარებს.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის სახალხო არტისტს კომპოზიტორ გ. ერნესაქსს, მწერალ ი. სემპერს, ელექტრომანქანათსაშენებელი ქარხნის „ვოლტის“ ოსტატს, კომუნისტური შრომის დამკვრელს უ. საკიასს, სსრ კავშირის საბჭოთა ჟურნალისტების კავშირისაგან გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ მთავარ რედაქტორს ი. ვორონოვსა და სხვებს. მათ გულითადად მიულოცეს ლაურეატს და ახალი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვეს.

— უსაზღვრო მადლობელი ვარ კომუნისტური პარტიისა იმისათვის, რომ მაღალი შეფასება მისცა ჩემს შემოქმედებას, — თქვა ლენინური პრემიის ლაურეატმა ი. სმუულმა. — ჯერ კიდევ არ ვიცი ზუსტად რა წიგნს დავწერ მომავალში. მაგრამ გარკვეულად შემიძლია ვთქვა, რომ მის ცენტრში იქნება ზღვა და ჩვენი საბჭოთა ადამიანი.

კრებას დაესწრნენ ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. კებინი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მიურისეპ.

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

საქმიანი საუბარი

როცა პირველად პარტორგანიზაციებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამისა და წესდების პროექტებს განიხილავდნენ, თეთრწყაროელმა კომუნისტებმა განაცხადეს:

— სკკპ პროგრამის პროექტში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების აუცილებლობას, რადგან აყვავებული, ყოველმხრივ განვითარებული და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობა კომუნიზმის აშენების აუცილებელი პირობაა. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრის სურვილი გვამოძრავებს ახლა ჩვენ, ეს არის ჩვენი ღირსებისა და დიდების საქმე.

ამ აზრით მოვიდნენ თავიანთ მორიგ პარტიულ კონფერენციაზე თეთრწყაროელი დელეგატები, მოვიდნენ, რომ გულახდილად თქვან საანგარიშო პერიოდში პარტიის რაიკომის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, ილაპარაკონ იმაზე, თუ რა მაქსიმუმის გაკეთება შეუძლიათ კომუნიზმის მშენებლობაში თავიანთი წვლილის შესატანად. დელეგატთა ფიქრი და სიტყვა ტრიალებდა იმ დიდი აზრის გარშემო, რომ, როგორც **პარტია საქვეყნოდ აცხადებს: საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს!**

პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბექაურმა რაიკომის საანგარიშო მოხსენებაც სწორედ ამით დაიწყო.

— დღეს რაიონის თვითეული მშრომელი გამსჭვალულია თავისი მოვალეობის ღრმა შეგნებით, რომ ამრავლოს საზოგადოებრივი ბარაქა, მისცეს ქვეყანას სულ უფრო და უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. საანგარიშო პერიოდში მიღწეული შედეგებით დაკმაყოფილება არ შეიძლება.

რას გვეუბნება ჩვენი რაიონის გამოცდილება?

კარგი ღონისძიებები გავატარეთ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის. ვხელმძღვანელობდით რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, დიდად გავზარდეთ სიმინდის ნათესი ფართობი — ახლა „მინდვრის დედოფალი“ გადაჭიმულია 5.135 ჰექტარზე. რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ სიმინდის ნათესები ჩვენს რაიონში არასოდეს არ დამუშავებულა ისე კარგად, როგორც წელს. მნიშვნელოვანი ღონისძიებები გავატარეთ თავთავიანი კულტურების, საკვები ბალახების მოსავლიანობის გადიდებისათვის. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო განვამტკიცოთ მეცხოველეობის საკვები ბაზა.

როგორც მომხსენებელი, ისე კამათის მონაწილე დელეგატები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ პირუტყვის სულადობის გეგმები რაიონში გადაჭარბებით შესრულდა, რომ გადაჭარბებით გაანაღდეს აგრეთვე ხორცისა და რძის წარმოების ნახევარი წლის გეგმები.

ვინ არიან მოწინავენი?

კონფერენციაზე დაასახელეს რომ მეტი ხორცისათვის, მეტი რძისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინეს ჯორჯიაშვილის, ირაგის, ალგეთის კოლმეურნეობებმა და მანგლისის საბჭოთა მეურნეობამ. მანგლისელებმა 11 აგვისტოსათვის უკვე შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის წლიური გეგმა.

ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის შეაქეს ასურელი კოლმეურნეები.

მაგრამ რაც გაკეთდა, განა საკმარისია? რატომ მოხდა, რომ კოდის, ბორბალოს, წინწყაროს კოლმეურნეობები ჩამორჩნენ ხორცის დამზადებაში? სამართლიანად აღინიშნა, რომ ჩამორჩენის მიზეზი არ შეიძლება ავხსნათ არახელსაყრელი კლიმატური პირობებით. წარუმატებლობის მთავარი მიზეზია მუშაობის ცუდი ორგანიზაცია, ტექნიკის არასწორი გამოყენება, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებები.

— ჯერ კიდევ ვერ შევძელით, — ამბობენ დელეგატები, — ხეხილის ბაღების წესიერი მოვლა-პატრონობა. ამიტომ უკანასკნელ წლებში ხილის დაბალ მოსავალს ვიღებთ.

დელეგატების გ. ბელიაევის, შ. ბექაურის, დ. მიგრიაულის, ფ. მზიურის, თ. კაველიძის და სხვების გამოსვლებში მთავარი ყურადღება დათმობილი ჰქონდა იმ ღონისძიებების ჩამოთვლას, რაც საჭიროა იმისათვის, რომ გადაჭარბებით შესრულდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების საპატიო ამოცანები.

— სკკპ პროგრამის პროექტი გვაძლევს ამის კონკრეტულ პასუხებს, —ამბობენ ისინი. — შრომის ნაყოფიერების გადიდების გზების მაქსიმალური გამოყენება — კომპლექსური მექანიზაციის დანერგვა, სპეციალიზაცია, საირიგაციო მშენებლობა, მეცნიერებათა მიღწევების დანერგვა და სხვ.— აი საკითხები, რომლებიც ჩვენი, როგორც კომუნისტების, რაიონის თვითეული მშრომელის დიდი ზრუნვის საგნად უნდა იქცეს.

როცა დელეგატები შრომისმოყვარე, პატიოსანი ადამიანების სახელებს ჩამოთვლიდნენ, უდიდესი სიყვარულით ლაპარაკობდნენ რაიონის შუქურების — მწველავ ალექსანდრა ზიბნინას, თამარ წიკლაურის, თალიკო მიგრიაულის, ლუბა თაქთაქიშვილის, ნორა ახსიაშვილის და სხვების შესახებ. ისინი მოითხოვდნენ, რომ ამ მოწინავეთა გამოცდილება რაიონის ყველა მშრომელის კუთვნილება გახადონ. ამავე დროს დიდი გულისტკივილით ლაპარაკობდნენ, მუქთახორებზე, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებზე, რომლებიც, სამწუხაროდ, რაიონში ჯერ კიდევ არიან.

— საჭიროა გავაძლიეროთ აღმზრდელობითი მუშაობა, — ამბობენ დელეგატები მ. ავაქოვი, ნ. კუდუკოვი, ვ. თეთრუაშვილი, — საამისოდ კი გონივრულად გამოვიყენოთ იდეოლოგიური მუშაობის ყველა ფორმები.

ბევრი საყურადღებო და საინტერესო წინადადება წამოაყენეს დელეგატებმა გ. ჰელიძემ, გ. კვიჟინაძემ, ი. კუპინმა, ლ. მჭედლიშვილმა, როცა ისინი სიტყვებით გამოვიდნენ სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების ირგვლივ მოხსენებათა გამო.

— ჩემთვის, როგორც პედაგოგისათვის და ამავე დროს პროპაგანდისტისათვის, — ამბობს თეთრი წყაროს რუსული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ლ. მჭედლიშვილი, — საამაყოა კვლავ და კვლავ მივიდე ხალხთან და გადავცე ამ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტების თვითეული სტრიქონი.

კონფერენციამ სამივე მოხსენების ირგვლივ მიიღო ღონისძიებანი.

თეთრწყაროელმა დელეგატებმა თქვეს: ჩვენ შეგვიძლია უახლოეს წლებში მარცვლეულის წარმოება გავზარდოთ 7-ჯერ, სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვა 8,5-ჯერ, რძის წარმოება — 10-ჯერ.

კონფერენციამ ერთხმად მოიწონა და გაითვალისწინა სკკპ წესდების პროექტიდან მითითება, რომ საჭიროა **პარტიული ორგანოების არჩევნების დროს დაცულ იქნას მათი შემადგენლობის სისტემატური განახლებისა და ხელმძღვანელობის თანამიმდევრობის პრინციპი** და პარტიის რაიკომის შემადგენლობაში აირჩია მთელი შემადგენლობის თითქმის 50 პროცენტი ახალი წევრი, აგრეთვე საქართველოს კპ XXI ყრილობის დელეგატები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და თავის სიტყვაში კომუნისტური აღზრდის საკითხებზე გაამახვილა ყურადღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, სკოლებისა და კულტურის განყოფილების გამგემ ამხ. **დ. გ. სტურუამ.**

• • •

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ა. ბექაური, მეორე მდივნად — ე. ელბაქიძე, მდივნად — ქ. ცხვედიანი.

ალ. ზურაშვილი.

წინასაყრილობო ტრიბუნა

განვიხილავთ სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტებს

450 ტონა ჩაი — გეგმის ზევით

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველ მდივანთან ამხ. ნ. შონიასთან

შვიდწლედის მესამე წელს ცხაკაიას რაიონის მშრომელები განსაკუთრებული თავდადებით მუშაობენ. ახლა კი, ამ დღეებში, როცა მიმდინარეობს სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვა, მათ კიდევ უფრო გააძლიერეს შრომა.

გუშინ „კომუნისტის“ თანამშრომელი ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ნ. შონიას, რომელმაც თავის საუბარში განაცხადა:

— დღეს ჩვენმა რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია 3.060 ტონა ნედლეული, გეგმა კი 3.055 ტონას ითვალისწინებდა. მოკრეფილი ჩაის ფოთლის 71 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ჩაის კრეფაში ყველაზე მეტად დაწინაურდნენ სოფელ ფოცხოს სტალინის სახელობის, უშაფათის ორჯონიკიძის, ლეძაძამეს ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობები და ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვება“, რომლებმაც უკვე გაანაღდეს წლიური დავალებები.

ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში თავი ისახელეს იმ ბრიგადებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ამბაკო სანაია და დავით სანაია. უშაფათის კოლმეურნეობაში — კომუნისტი გრიგოლ ლაკია.

სოფელ ეკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მეჩაიე ნინო ელიავას გეგმით უნდა მოეკრიფა 2.500 კილოგრამი, მოკრიფა 5.500 კილოგრამი ჩაი.

სოფელ ზანას კოლმეურნეობის ცნობილმა მეჩაიემ, სოციალისტური შრომის გმირმა ტატიანა ტყებუჩავამ, რომელიც 0,7 ჰექტარ პლანტაციას უვლის, 8.000 კილოგრამის ნაცვლად მოკრიფა 16.145 კილოგრამი ჩაი. ახლა ტატიანა იმისათვის იბრძვის, რომ სეზონში მოკრიფოს სულ 18.000 კილოგრამი.

ტატიანა ტყებუჩავას ბევრი ახალგაზრდა მიმდევარი ჰყავს რაიონში.

ცხაკაიელმა მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის ზევით სამშობლოს მისცენ 450 ტონა ჩაი.

• • •

სურათზე: ნინო ელიავა.

ვიყოთ სპეტაკნი პარტიისა და ხალხის წინაშე

ბოლნისის რაიონი ჩვენი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არტერიაა. მაგრამ ახლა აქ სულ უფრო მკვეთრად ისახება მრეწველობის კონტურებიც. საქართველოს ფერადი მეტალურგიის განვითარების შვიდწლიან გეგმაში საპატიო ადგილი უჭირავს ამ რაიონის მადნეულის საბადოს სიმდიდრეთა ათვისებას.

კულტურის სახლის ვრცელ და ნათელ ფოიეში დელეგატებს საშუალება ჰქონდათ ჯერ კიდევ კონფერენციის დაწყებამდე საკუთარი თვალით ენახათ დაბა მადნეულის მომავლის სურათები — მრავალსართულიანი და მრავალბინიანი სახლების პროექტები, კოხტად დაგეგმილი ქუჩების მაკეტები.

სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დირექტორი, თავისი საქმის ენთუზიასტი მ. გულუა გატაცებით ელაპარაკებოდა ამ პროექტების ირგვლივ თავმოყრილ დელეგატთა ჯგუფებს.

დელეგატთა გულღია, საქმიანი საუბარი ახალი ძალით გაჩაღდა კონფერენციაზე, რომელიც თავიდან ბოლომდე აქტიურად ჩატარდა. ორატორთა პრინციპულ გამოსვლებს ტონი მისცა რაიკომის კრიტიკულმა და თვითკრიტიკულმა საანგარიშო მოხსენებამ, რომლითაც რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ვ. სანიკიძე გამოვიდა.

იგი ლაპარაკობს პარტიის პროგრამის პროექტზე, სადაც კარგად არის ნათქვამი საბჭოთა ხალხის გამარჯვებებზე, კონკრეტულად არის განსაზღვრული კომუნისტური მშენებლობის გზები. ამასთან მას მჭიდროდ უკავშირებს რაიონის წინაშე მდგომ ამოცანებს.

— არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად, — თქვა მომხსენებელმა, — წელს რაიონში მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა კარგი მოსავალია. ყველა პირობა გვაქვს გადაჭარბებით შევასრულოთ სახელმწიფოსათვის თამბაქოს, ხილის, ყურძნის მიყიდვის გეგმები.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობათა საშუალო მაჩვენებლის მიღმა იმალება რაიონის სოფლის მეურნეობის არასახარბიელო მდგომარეობა, რაც ამინდის ცუდი პირობებით და შრომის მოუწყობლობით უნდა აიხსნას. წელს მიღებულია საშემოდგომო ხორბლის მეტად დაბალი მოსავალი, კარგი პირი არ უჩანს სიმინდს. საფრთხის წინაშეა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის დავალების შესრულება, იკლო წველადობამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

უფრო ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ ცალკეულ საზოგადოებრივ მეურნეობებში (ქვეშის, ქოშაქილისას, სარაჩლოს კოლმეურნეობები, ბოლნისის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა და სხვ.).

სოფლის მეურნეობის განვითარებაში სულ უფრო მზარდ როლს ასრულებენ საბჭოთა მეურნეობები. „... **საბჭოთა მეურნეობები,** — როგორც სკკპ პროგრამის პროექტშია ნათქვამი, — **მოწოდებული არიან იყონ კოლმეურნეობებისათვის ნიმუში საზოგადოებრივი წარმოების გაძღოლის მოწინავე, მეცნიერულად დასაბუთებული, ეკონომიურად ხელსაყრელი მეთოდებისა, შრომის მაღალი კულტურისა და ნაყოფიერებისა“.**

ასრულებს თუ არა ამ ამოცანას ბოლნისის საცდელ- საჩვენებელი მეურნეობა? — ეს იყო მისი დირექტორის ვ. სუმბაძის გამოსვლის შინაარსი.

— მეურნეობაში მრავალი შრომატევადი პროცესი, — თქვა მან, — ხელით სრულდება. გვაკლია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, არა გვაქვს ცენტრალიზებული მომარაგება. ეს ხელს გვიშლის კომპლექსური მექანიზაციის მოწყობაში და, აქედან გამომდინარე, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აღმავლობაში.

ამ ორატორის გულისტკივილი გაიზიარა „რახლოს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ნ. დოლიძემაც.

უკანასკნელ ხანს რაიონში დიდი მუშაობა იქნა გაწეული პირველადი პარტიული ორგანიზაციების განსამტკიცებლად, მათი ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. კომუნისტთა ახალი ძალები მივიდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, ამაღლდა მათი ავანგარდული როლი.

სწორედ მათ საქმეებზე ილაპარაკეს კონფერენციაზე დელეგატებმა ქოშაქილისას XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა უ. ალიევმა, რაიკოოპკავშირის პარტბიუროს მდივანმა ბ. შერვაშიძემ და სხვ.

რაიონის პროკურორმა ნ. ნაბიზადემ, რაიონის სამხედრო კომისარმა ირ. მუსერიძემ, ფახრალოს საშუალო სკოლის დირექტორმა ბ. მახმუდოვმა და სხვებმა რაიკომისაგან მოითხოვეს ადამიანთა აღზრდისათვის მუშაობის გაძლიერება, რადგან რაიონში არის უპასუხისმგებლობის, თვალისახვევის, საზოგადოებრივი ქონების განიავების შემთხვევები.

სამწუხაროდ, ამ უმსგავსოების ჩამდენ პირთა შორის ცოტა როდი არიან კომუნისტები. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის ყოფილი კოლმეურნეობა (ამჟამად საბჭოთა მეურნეობა).

საგულისხმოა, რომ პარტიის რაიონული კომიტეტი ამ საზოგადოებრივ მეურნეობასა და მის პარტიულ ორგანიზაციას წლების მანძილზე მოწინავედ და სანიმუშოდ თვლიდა. დეტალურმა შემოწმებამ კი სხვა აჩვენა. პარტიულ ორგანიზაციაში სისტემატურად ირღვეოდა შინაპარტიული დემოკრატია, იშვიათად იწვევდნენ პარტიულ კრებებს, მნიშვნელოვან პარტიულ და სამეურნეო საკითხებს წყვეტდნენ ვიწრო წრეში, სდევნიდნენ საქმიან, პრინციპულ კრიტიკას, ჩამლილი იყო პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. პარტიული კომიტეტი ფაქტიურად გადაიქცა კოლმეურნეობის გამგეობის დანამატად. ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ უსინდისო ადამიანები „მღვრიე წყალში“ ადვილად იჭერდნენ თევზს — კომბინაციებსა და მაქინაციებს აწყობდნენ, ფლანგავდნენ და ანიავებდნენ არტელის ქონებას.

ყალთაბანდები გარიცხულ იქნენ პარტიის რიგებიდან და მიცემული არიან სასტიკ სასამართლო პასუხისგებაში, მაგრამ დელეგატები სამართლიანად სვამდნენ კითხვას, როგორ ხდებოდა ყველაფერი ეს რაიკომის თვალწინ, ხომ არ სარგებლობდნენ ყალბისმქნელნი ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის წაყრუებით?

ვიყოთ სპეტაკნი პარტიისა და ხალხის წინაშე! — **შეურიგებლობა უსამართლობისადმი, მუქთახორობისადმი, უპატიოსნობისადმი, კარიერიზმისადმი, — ასეთია კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის ერთ-ერთი მოთხოვნა.**

პროგრამისა და წესდების პროექტების განხილვის მსვლელობაში დელეგატებმა გამოთქვეს საყურადღებო წინადადებები და შენიშვნები.

კონფერენციამ მიიღო დადგენილებანი განხილულ მოხსენებათა გამო.

ბოლნისის XVIII რაიონული პარტიული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული კომისიის თავმჯდომარე ამხ. **დ. ვ. გელაშვილი.**

• • •

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც საქართველოს კომპარტიის ბოლნისის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. **ვ. სანიკიძე,** მეორე მდივნად — ამხ. **მ. ნაბიზადე,** მდივნად — ამხ. **ნ. მეფარიშვილი.**

გ. ზუკაკიშვილი.

საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის პლენუმი

გუშინ შედგა საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა და მოიწონა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1961 წლის 9 აგვისტოს დადგენილება „მცხეთის რაიონში მიწათსარგებლობის კანონის უხეში დარღვევების შესახებ“.

პლენუმმა ამხ. ზ. ი. მირზიაშვილი მოხსნა საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის პირველი მდივნის თანამდებობიდან და გამოიყვანა ბიუროს შემადგენლობიდან.

საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ე. ა. შევარდნაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. დ. დუმბაძემ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგემ ამხ. ი. გ. რთველიაშვილმა.

საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

რაიხის პოლიტიკანები ომით ემუქრებიან მსოფლიოს

მდგომარეობა ბრაზილიაში

ლონდონი, 29 აგვისტო. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, „სარწმუნო წყაროებიდან ქალაქ ბრაზილიაში ცნობილი გახდა, რომ გუშინდელ დახურულ თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი და პარტიათა ლიდერები, სამხედრო მინისტრებმა განაცხადეს, რომ მზად არიან დაეთანხმონ კონგრესის ყოველგვარ გადაწყვეტილებას, რომელიც არ ითვალისწინებს პრეზიდენტის პოსტზე გულარტის ასვლას“.

ამავე დროს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა მაძილიმ განაცხადა, რომ „გადადგება, თუ კონგრესი მხარს დაუჭერს სამხედრო უარყოფით პოზიციას ვიცე-პრეზიდენტ გულარტის მიმართ“.

ლონდონი, 29 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ბარსელონიდან იუწყება:

ბრაზილიის ვიცე-პრეზიდენტი პარიზიდან აქ ჩამოფრინდა თავისი შვილების სანახავად.

ნიუ-იორკი, 29 აგვისტო. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება რიო-დე-ჟანეიროდან, ბრაზილიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მაძილის განცხადებამ — სამხედრო ლიდერებს განზრახული აქვთ არ დაუშვან პრეზიდენტის პოსტზე ჟოაო გულარტი — დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ბრაზილიის კონგრესში.

კონგრესის იმ წევრებმაც კი, რომლებიც ჩვეულებრივ გულარტისადმი ოპოზიციურად არიან განწყობილი, აღნიშნავს კორესპონდენტი, მოითხოვს, რომ მან დაიკავოს პრეზიდენტის პოსტი. კონგრესში დავა გვიან ღამემდე გრძელდებოდა. ამასთან კონგრესის წევრებმა განაცხადეს, დილამდე დავრჩებითო, თუ საჭიროა, რათა მოისპოს კრიზისიო.

კონგრესის დეპუტატმა სოციალ-დემოკრატმა მენდეს გონკალიესმა განაცხადა: „მე კონსერვატორი დავიბადე და კონსერვატორი მოვკვდები. მაგრამ იმის წინააღმდეგი ვარ, რომ ხელი შეუშალონ ჟოაო გულარტს“.

მუშათა პარტიის დეპუტატმა რაი რამოსმა მოითხოვა, რომ მაძილიმ გამოსცეს ბრძანება სამხედრო მინისტრის მარშალ ოდილიო დენისის დაპატიმრების შესახებ.

მუშათა პარტიის დეპუტატმა ელოი დუტრამ თქვა, რომ იგი უმალ გადადგება, ვიდრე მიიღებს „მონაწილეობას იმ დემოკრატიაში, რომელსაც ტყვიამფრქვევებით იცავენ“.

მუშათა პარტიის ხელმძღვანელებმა, რომლის ლიდერი გულარტია, კონგრესს განუცხადეს, რომ გულარტი მზადაა შეადგინოს კოალიციური მთავრობა, რომელშიც შევლენ ბრაზილიის ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები.

კორესპონდენტი აგრეთვე იუწყება: რომ ყოფილი პრეზიდენტი კუადროსი სანტოსიდან გაემგზავრა ინგლისის სამგზავრო-სატვირთო გემით „ურუგვაი სტარით“, რომელიც, როგორც ჩანს, ლონდონს მიემართება.

კუადროსის მეგობრების სიტყვით, მან თქვა: „ისინი მასახლებენ, მაგრამ მე დავბრუნდები“.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი თედ შულცი ვაშინგტონიდან იუწყება.

„აქ არავისთვის საიდუმლო არაა, რომ შეერთებული შტატები შეშფოთებული იქნებოდნენ, თუ გულარტი დაიკავებდა პრეზიდენტის პოსტს... აქ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ გულარტის არჩევამ პრეზიდენტის პოსტზე შეიძლება შეერთებული შტატების წინაშე დააყენოს გაცილებით უფრო სერიოზული პრობლემა ლათინური ამერიკის მიმართ, ვიდრე ის, რომელსაც ისინი აწყდებოდნენ კუადროსის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გამო“.

საჩუქარი საბჭოთა კოსმონავტს

ტოკიო, 29 აგვისტო. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის საელჩოს იაპონიაში ეწვია ცნობილი იაპონელი მხატვარი კაგაი კონო. მან გერმანე ტიტოვის სახელზე გადასცა საჩუქარი — თავისი სურათი „მთა-აღმოსავლეთის ქალღმერთი“, რომელზეც გამოხატულია ფუძიამას მთა, რომელსაც იაპონელები პატივს სცემენ როგორც მშვიდობის სიმბოლოს.

ჩვენ, თქვა მხატვარმა, თავს ვხრით და სულით და გულით მივესალმებით კოსმონავტის გმირობას, რომელიც ჩადენილია მშვიდობისა და კაცობრიობის აყვავებისათვის.

დასავლეთგერმანელ ხელისუფალთა თავხედური პროვოკაცია

ბონი, 30 აგვისტო. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის პოლიციამ ქალაქ კელნში დააპატიმრა სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ინჟინერი ვ. ა. პრიპოლცევი, რომელიც სამუშაოდან შინ ბრუნდებოდა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს წარმომადგენლები ამაოდ ცდილობდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და პოლიციის მეშვეობით გამოერკვიათ უკანონოდ დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქის ადგილსამყოფელი და მიეღოთ ნება შეხვედროდნენ მას. მაგრამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლებმა უარი თქვეს დაეკმაყოფილებინათ საერთაშორისო პრაქტიკის ეს კანონიერი და ელემენტარული მოთხოვნები.

მოგვიანებით, პრესის საშუალებით გამოირკვა, რომ ვ. ა. პრიპოლცევი გადაიყვანეს ქალაქ ესენის საგამომძიებლო საპყრობილეში. ვ. ა. პრიპოლცევთან შეხვედრის შესახებ საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელთა მოთხოვნის პასუხად დასავლეთ გერმანიის სასამართლო ორგანოებმა წამოაყენეს საერთაშორისო პრაქტიკაში უმაგალითო უკანონო პირობა, რომ საუბარი ვ. ა. პრიპოლცევთან მოეწყოს არა რუსულ, არამედ გერმანულ ენაზე.

არსებული ცნობების თანახმად, ვ. ა. პრიპოლცევი მთელი ღამე არ დააძინეს და განუწყვეტლივ აწყობდნენ მის პროვოკაციულ დაკითხვას. ბულვარული პრესა ავრცელებს ვ. ა. პრიპოლცევის შესახებ უაზრო მონაჭორებსა და ხმებს, ბრალს სდებს მას სხვადასხვა დანაშაულში.

სსრ კავშირის საელჩომ მტკიცე პროტესტი განაცხადა პოლიციის ხელისუფალთა უკანონო და პროვოკაციული მოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვა დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ვ. ა. პრიპოლცევი.

ვინ ამზადებს ტრაგედიას?

ნიუ-იორკი, 30 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „პიპლზ უორლდი“ სტატიაში „რაიხის პოლიტიკანები აღვივებენ ბერლინის კრიზისს“ წერს, რომ უკანასკნელი კვირა იმის კარგი ილუსტრაცია იყო, თუ რა საშიში მასშტაბით შეუძლია დასავლეთ გერმანიას თავისი ინტერესებისათვის გამოიყენოს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა. დასავლეთ გერმანიის პოლიტიკოსებს, რომლებიც მილიტარიზმს უჭერენ მხარს თავიანთი ანგარებითი მიზნებისათვის, ხაზს უსვამს გაზეთი, შეუძლიათ უდიდესი გავლენა მოახდინონ ვაშინგტონზე, რამდენადაც ამერიკის პოლიტიკის „ქვაკუთხედი ევროპაში არის დასავლეთ გერმანიის“, როგორც „ბოლშევიზმის საწინააღმდეგო ბასტიონის“, ხელახალი შეიარაღება. შეერთებული შტატები თავიანთ მხრივ აქეზებენ დასავლეთ გერმანელ რევანშისტებს შეურიგებელი პოზიცია დაიკავონ და აქეთონ პროვოკაციული განცხადებანი.

ამერიკის მეორე გაზეთი „გაზეტ ენდ დეილი“ აგრეთვე აღნიშნავს, თუ რა საფრთხეს შეიცავს დასავლეთის სახელმწიფოთა მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობა ბონელ მილიტარისტებთან. დასავლეთის სახელმწიფოები, წერს „გაზეტ ენდ დეილი“, დაეხმარნენ ჰიტლერს მომზადებულიყო ომისათვის. მათ მთავრობებს ეგონათ, რომ შეძლებდნენ ჰიტლერთან თანამშრომლობას და, თუ მოხდებოდა უარესი, გამოიყენებდნენ მას იარაღად, რათა ეხსნათ ევროპა საბჭოთა კავშირის კომუნისტური სისტემისაგან. ჰიტლერმა იცოდა და უნარიანად იყენებდა ამას. „გაზეთ ენდ დეილი“ გაფრთხილებას იძლევა, რომ ტრაგედია შეიძლება კვლავ განმეორდეს, თუ დასავლეთელი დიპლომატები განზრახ არ დაინახავენ იმას, რაც ამჟამად ხდება დასავლეთ გერმანიაში.

ტელეგრაფი გვატყობინებს

ლონდონი, 29 აგვისტო. (საკდესი). ბრაზილიის ვიცე პრეზიდენტი ჟოაო გულარტი დღეს ბარსელონიდან პარიზს დაბრუნდა ბრაზილიის კონგრესის დელეგაციასთან მოსალაპარაკებლად, იუწყება პარიზიდან რეიტერის სააგენტო.

რანგუნი, 29 აგვისტო. (საკდესი). წყალდიდობა ბირმაში სულ ახალ და ახალ რაიონებს მოიცავს. დღეს მიღებულია ცნობა, რომ მოულმეინის სამხრეთით (სამხრეთ-აღმოსავლეთი ბირმა) განუწყვეტელი ტროპიკული კოკისპირული წვიმების შედეგად მდინარე ჯაინგის წყალმა გადალახა ნაპირები და დატბორა სოფლები და დაბები. მცხოვრებნი ტოვებენ წყლით დაფარულ სახლებს.

მოულმეინის ახლოს 35 სოფელში 67 ათასი კაცი უსახლკაროდ დარჩა. სტიქიური უბედურება ემუქრება 15 ათას აკრ. ბრინჯის ნათესს.

დასავლეთ ბერლინი, 29 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა ამერიკის საოკუპაციო არმიის ქვედანაყოფთა პირველი წვრთნა, რომელნიც ამას წინათ ჩამოვიდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან. წვრთნა ქუჩის ბრძოლების წარმოებაში მიმდინარეობდა ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში. მონაწილეობა მიიღეს ქვეითმა ჯარმა და არტილერიამ.

კენედისა და რასკის შეხვედრა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი კენედი დღეს ეთათბირა სახელმწიფო მდივანს დინ რასკს. მათ განიხილეს ბერლინის საკითხი.

შეხვედრის შემდეგ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და დასავლეთი გერმანია წინასწარ შეთანხმდნენ, მოაწყონ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი „ბერლინის საკითხზე,“ სანამ დაიწყებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესია.

„ულტრები“ თარეშობენ

პარიზი, 29 აგვისტო. (საკდესი). ექვსი ალჟირელი მოკლულია და 35 დაჭრილია — ასეთია შედეგი „ადამიანებზე ნადირობისა“, რომელიც გუშინ მოაწყეს ულტრაკოლონიალისტმა არამზადებმა ალჟირის ქალაქ ორანში.

რამდენიმე ასეული ევროპელი დაიყო დიდ ჯგუფებად და დაიწყეს ქალაქის ჩხრეკა, ამასთან რასისტები საშინლად უსწორდებოდნენ იმ ალჟირელებს, რომლებიც მათ გზაზე ხვდებოდნენ. „ეს ნამდვილი ნადირობა იყო ადამიანებზე, — წერს ბურჟუაზიული გაზეთი „პარი ჟური“. — მუსლიმთა კუთვნილი ყველა მაღაზია დაარბიეს. ევროპელები შუა ქუჩებში აჩერებდნენ ავტომანქანებსა და მოტოროლერებს, რომლებშიც მუსლიმები ისხდნენ, და მათ მგზავრებს, თუ გაქცევას ვერ მოასწრებდნენ, მაშინვე ცემა-ტყეპით უმასპინძლდებოდნენ. გაჩერებული ავტობუსიდან გადმოათრიეს სამი ალჟირელი და იქვე სცემეს ისე, რომ სიკვდილის პირას მიაყენეს“. დიდი კეტებითა და ლითონის წკეპლებით შეიარაღებული გაავთრებული ფაშისტი არამზადები დიდხანს დაძრწოდნენ ქუჩებში და აწიოკებდნენ ალჟირელებს.

მხოლოდ საღამოს გამოჩნდნენ ქალაქში პოლიციელები. ხელისუფალთა განკარგულებით ორანში შემოღებულია კომენდანტის საათი.

ვარიანტი სუსტადგანვითარებული ქვეყნებისათვის.



ნახატი ი. სიჩოვისა

სენტოს გეგმები ითვალისწინებენ ატომური თავდასხმის ცდას მთელ რიგ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებზე და სიკვდილის ატომური ზონების შექმნას თვით ამ ბლოკის მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე.

(საკდესის 1961 წ. 19 აგვისტოს განცხადებიდან).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბახმარო. ნაძვნარი. სუფთა, სუფთა გამჭვირვალე ჰაერი და ფერდობებზე სოკოებივით შეფენილი სახლები, ბევრი, უთვალავი სახლი... ბახვის წყალი, თითის სიმსხო მდინარე, და ნისლი, ნისლი...

ქართული კურორტების ერთ-ერთი მშვენება — ბახმარო ზღვის დონიდან 2.000 მეტრზე მაღლა მდებარეობს. აქ ზღვისა და მთის ჰაერის იშვიათი შეხამებაა.

მოაგარაკეები ახლა უკვე გუდა-ნაბადს იკრავენ. მალე თოვლი დაბარდნის გარემოს, ამ თვალწარმტაც მიდამოს გადაბურავს და ყველგან, ყველგან გამეფდება თეთრი სიჩუმე.

ფოტო ბ. დადვაძისა.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

საშვილიშვილოდ

ვაჟა-ფშაველას თხზულებების ახალი გამოცემის გამო

ჩვენი დიდი ვაჟა-ფშაველას იუბილეს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" ღირსეულად შეხვდნენ. მწერლის საზეიმო დღეებისათვის მომზადდა და გამოიცა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებულის ხუთი დიდტანიანი ტომი. ეს გამოცემა წინა შვიდტომიანი გამოცემისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, აქ ბევრი დღემდე დაუბეჭდავი თხზულებაა შესული. ვაჟას ნაწერების ტექსტების დადგენაზე, გამოსაცემად მომზადებაზე, ვარიანტებსა და შენიშვნებზე კვალიფიციურად უმუშავნიათ ზ. ჭუმბურიძეს, ც. კალაძეს, ე. შარაშენიძესა და ლ. სანაძეს. ამ საქმიანობას კარგად გასძღოლიან რედაქტორი—გიორგი ლეონიძე და სარედაქციო კოლეგია—გ. აბზიანიძე, დ. ბენაშვილი, ს. ყუბანეიშვილი და მ. ჩიქოვანი.

გამოცემას შესავალ წერილად უძღვის გიორგი ჯიბლაძის მიერ დაწერილი ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების ვრცელი მეცნიერული მიმოხილვა — „ვაჟა-ფშაველა".

ვაჟას სიცოცხლეში დაბეჭდილ თხზულებებში ბევრი ნებსითი თუ უნებლიე შეცდომა არის გაპარული როგორც კორექტორული, ისე რედაქტორთაგან თუ ასოთამწყობთაგან დაშვებული. ახალ გამოცემაში მსგავს შემთხვევებს ადგილი აღარა აქვს, რადგან ტექსტზე მომუშავეებს სახელმძღვანელოდ ჰქონიათ პოეტის ხელნაწერები, რომელთა ჩვენების მიხედვით გაუსწორებიათ ვაჟასეული სიტყვის ფორმები.

აქ უნდა გავიხსენოთ ერთი დიდი დაუდევრობა, რაც დაემართათ ვაჟას ხელნაწერების დამცველებს, როცა ეს ძვირფასი განძი 20-იან წლებში სახელგამს გადაეცა. მაშინ არქივი, ასე თუ ისე, სრული იყო. ჯერ კიდევ ალ. აბაშელს ხელში ჰქონდა ვაჟას ავტოგრაფები, რომელთა მიხედვით გამოცემული ტექსტი მნიშვნელოვან დასაყრდენად არის ახლა აღიარებული. ახალი გამოცემის კომენტატორები, თუ კი ხელი მიუწვდათ, ვაჟას ხელნაწერს, ვარიანტულ სხვაობებს უხვად და კარგადაც აღნიშნავენ, ხოლო როცა ნაწარმოების ხელნაწერი არ არის შენახული, მათ მიმართ მხოლოდ პირველნაბეჭდთან შედარების შედეგებია შენიშვნებში გამოტანილი.

პირველი ლექსი, რომლითაც იხსნება პირველი ტომი, არის 1884 წელს დაწერილი „ამირანი", თუმცა ვაჟას ადრე დაწერილი ლექსებიცა აქვს, რომლებიც გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „იმედში", მაგრამ ისინი დაწერილია სიჭაბუკის ხანს და ჯერ კიდევ არ გააჩნიათ ის ხმოვანება, რაც ვაჟას თხზულებებმა შემდეგ მოიპოვა.

ვაჟას ლექსებისათვის ყველგან არ მიუწერია დაწერის თარიღი. ასეთ შემთხვევებში ტექსტის დამდგენლები ფრჩხილებში წერენ თარიღს, რომელიც პირველი პუბლიკაციის წელს უჩვენებს. ეს ფრჩხილები მაინცდამაინც საჭირო არ იყო, რადგან გარდა თვით ვაჟას მოწმობისა, რომ რაც კი დაუწერია, მაშინვე დაუბეჭდავს, სხვა უტყუარი საბუთიც არსებობს ლექსის უეჭველოდ დათარიღებისა. მაგალითად, ლექსი „ჭანდარი", რომელიც ვაჟას არჩილ ჯორჯაძის ხსოვნისთვის მიუძღვნია და გამოქვეყნებულია 1914 წელს, დაიწერებოდა მაშინ, როცა ლექსის ადრესატი გარდაიცვალა, ე. ი. 1913 წელს. ლექსის „ვლ. მესხიშვილის საიუბილეოდ" თარიღი ფრჩხილებშია ჩასმული, რაც იმას ნიშნავს, რომ ვაჟას თარიღი არ დაუწერია, მაგრამ ვლ. მესხიშვილის იუბილე ხომ 1913 წელს გაიმართა და, მაშასადამე, ლექსიც იმ წელს არის დაწერილი. „ლევ ტოლსტოის გარდაცვალებაზეც" დაიწერა სწორედ ტოლსტოის გარდაცვალების წელს, მაგრამ ლექსის თარიღი მაინც ფრჩხილებშია მოქცეული. ეს ყველაფერი შენიშვნებში გასატანი მასალა იყო.

პოეტის ყრმობისდროინდელი ლექსებიდან 1881 წელს დაწერილი „წინასწარმეტყველის" ფაქტურა მ. ლერმონტოვის „პროროკიდან" არის აღებული, თუმცა ვაჟას რუსული ლექსის თანმიმდევრობა დაცული არა აქვს. ეს ნაწარმოები ან თარგმანების განყოფილებაში უნდა მოქცეულიყო (თარგმანი მეტად თავისუფალია), ან ლექსის შენიშვნაში წყარო უნდა მითითებულიყო.

„ვარიანტებისა და შენიშვნების" განყოფილება კარგად დამუშავებულია.

მეოთხე ტომში შეტანილი თარგმნილი თხზულებები, ერთად თავმოყრილი, მკითხველს წარმოდგენას უქმნის ვაჟას ლიტერატურულ ინტერესებზე. დასასრულს გაკვრით არის ნათქვამი, რომ ვაჟას უთარგმნია ლუდვიგ ბერნეს „პარიზული წერილებიც". საჭირო იყო ამ თარგმანის მოყვანაც, მით უმეტეს, რომ იგი დიდ ადგილს არ დაიჭერდა. სისრულისთვის კი კარგი იქნებოდა. ბერნეს ხომ ვაჟა თავის წერილებშიც იხსენიებს!

მეხუთე ტომი დათმობილი აქვს ვაჟას პუბლიცისტურ და ეთნოგრაფიულ წერილებს. ეს ტომი თავისი შენიშვნებითა და ვარიანტებით აგვირგვინებს გამოცემას.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ თხზულებათა კრებულს არ ერთვის ლექსიკონი, რომლის შედგენაზეც დიდხანს იმუშავა აკაკი შანიძემ და წინა, შვიდტომიან გამოცემას ტომობრივ დაურთო.

კარგი იქნებოდა ვაჟას თხზულებათა შენიშვნებში თვით ვაჟას ტექსტში ნახსენები სხვათა დაწერილის მოკლე ანოტაცია მაინც ყოფილიყო, რაც უფრო გასაგებს გახდიდა ვაჟას ზოგიერთ მოსაზრებას. მაგალითად, ვაჟა „საბაასოში" ახსენებს ალ. დიასამიძის წერილს, რომლის გამოხმაურებაც ვაჟას ეს ნაწარმოებია. ალ. დიასამიძის წერილის მოკლე შინაარსის მოყვანა „საბაასოს" შენიშვნაში სრულიადაც არ იქნებოდა ზედმეტი.

რაც შეეხება წიგნთა გარეგნობას, უნდა ითქვას, რომ ბევრად ემჯობინებოდა უფრო ადვილად მოსახმარებელი ფორმატი შეერჩია გამომცემლობას. სამწუხაროა ისიც, რომ ვაჟას მხატვრული თხზულებებისათვის გამოყენებული არ არის დასურათებანი, თუმცა მხატვარს (ელგუჯა ამაშუკელს) სიყვარულითა და გულმოდგინედ შეუსრულებია დავალება.

ვაჟა-ფშაველას თხზულებების სრული კრებულის ხუთტომიანი გამოცემა ჩვენი დიდი პოეტისა და მოაზროვნის უკვდავყოფის ძვირფასი სახსოვარია.

სოლომონ ხუციშვილი.



სურამი. ფიჭვნარში.
ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა.

დიახ, ეს კეთილშობილებაა!

ამბროლაური, (საკ. კორ.). სოფელ გორისუბნის მკვიდრი ლილი მდივნიშვილი ამას წინათ ბუგეულისაკენ მიდიოდა. აბანოეთს რომ გასცილდა, გზაზე 800 მანეთი იპოვნა.

სასოფლო საბჭოსთან მან შენიშნა, რომ სოფლის მცხოვრებლები აბანოეთელ ვ. სოხაძეს გარს შემოხვეოდნენ და ფულის დაკარგვის ამბავს ეკითხებოდნენ.

ლილი მდივნიშვილმა ნაპოვნი ფული პატრონს დაუბრუნა.

• • •

ქუთაისის რკინიგზის სადგურის გამცილებელმა ვალიკო კოპალეიშვილმა მუშაობის დროს ვაგონში იპოვნა საფულე, რომელშიც აღმოჩნდა 8 მანეთი ფული, პასპორტი, 200 მანეთის ქვითრები, სალაროს გასაღები და სხვა საბუთები. საფულე შორაპნის ბაქნის მოლარეს მარგალიტა ეჯიბაძეს ეკუთვნოდა. ვ. კოპალეიშვილმა საფულე და საბუთები პატრონს დაუბრუნა.

შეწყალება უარყოფილია

მოსკოვი, 29 აგვისტო (საკდესი). ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა ცნობა სასამართლო პროცესის შესახებ, რომელიც მიმდინარეობდა მოსკოვის პირველი სახელმწიფო საკისრის ქარხნის კულტურის სახლში. რუსეთის სფსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელი სესია ათ დღეზე მეტ ხანს არჩევდა საქმეს ერთ მილიონ 800 ათას მანეთზე მეტი თანხის (ფასების ძველი მასშტაბით) სახალხო დოვლათის დატაცების შესახებ. მთავარ დამნაშავეს, რეციდივისტ ქურდს ა. ვ. კონიუხოვს, რომელმაც დაიტაცა ქსოვილებიანი კონტეინერები, რუსეთის სფსრ უმაღლესმა სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა. მსჯავრდადებულმა კონიუხოვმა შეწყალება სთხოვა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

დღეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა ეს საკითხი.

მიღებულია დადგენილება: შეწყალების შუამდგომლობა ა. ვ. კონიუხოვისა, რომელსაც რუსეთის უმაღლესმა სასამართლომ 1961 წლის 24 აგვისტოს სიკვდილი მიუსაჯა, უარყოფილ იქნეს.

ამბები, ცნობები, ფაქტები

ბ. გურგენიძე — ფინალში

გუშინ ბათუმში შედგა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის მე-16 ტური.

კლოვანმა დაამარცხა ჰალილბეილი, გურგენიძემ — ანოხინი, გიპსლისმა — ლომაია, ბუსლაევმა — კალანტარი, ბაგიროვმა — არაქელოვი. გრუშევსკი-ნეის, როიზმან-მოსიონჟიკისა და უსტინოვ-პრუსის პარტიებში ფიქსირებულ იქნა ყაიმი.

უკანასკნელი ტურის წინ გურგენიძეს 13.5 ქულით უზრუნველყოფილი აქვს ფინალში მონაწილეობის უფლება. გიპსლისს 12,5 ქულა აქვს, ბაგიროვს — 12 ქულა.

ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალები

გრძელდება ქალთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური ასპარეზობები.

იალტის ნახევარფინალში კვლავ წარმატებით იბრძვის ოსტატი ტოგონიძე, რომელსაც 10 ტურის შემდეგ 9 ქულა აქვს და ლიდერობას არავის უთმობს.

მინსკის ნახევარფინალში ლიდერია კოზლოვსკაია (7 ქულა). ჩაიკოვსკაიასა და ვოიცეკს თვითეულს 6,5 ქულა აქვს და მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ. კაკაბაძე 6 ქულით მეოთხე ადგილზეა.

„ბ" კლასის გუნდების ასპარეზობა

გუშინ თბილისში, სოხუმსა და ბათუმში შედგა რესპუბლიკათა „ბ" კლასის გუნდების მორიგი შეხვედრები ფეხბურთში.

თბილისში ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" დაამარცხა ვიტებსკის „კრასნოე ზნამია" ანგარიშით 4:1.

სოხუმში ქ. ბობრუისკის გუნდისა და სოხუმის „რიწას" მატჩში ფიქსირებულ იქნა ფრე — 0 : 0.

ბათუმში ბრესტის „სპარტაკისა" და ბათუმის დინამოელთა მატჩში გაიმარჯვეს ბათუმელებმა ანგარიშით 2 : 0.

ვის ულიმის თასი?

ფეხბურთის მარათონის ორი დიდი პაექრობა—საკავშირო ჩემპიონატი და თასისათვის ბრძოლა — მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუ პირველ მათგანში წარუმატებლობის გამოსწორება შემდგომ ეტაპებშიც შეიძლება მოხერხდეს, თასის გათამაშება სხვაგვარად ვითარდება — შეხვედრის წაგება პრიზისათვის მებრძოლთა რიგებიდან გამოთიშვას ნიშნავს.

ამიტომ არის, რომ თასისათვის ბრძოლას ყოველთვის თან სდევს მოულოდნელობები, სიურპრიზები. ამ მხრივ მიმდინარე სეზონი სარეკორდოა. ჯერ კიდევ არ ამოწურულა მეთექვსმეტედფინალური შეხვედრები, შევსებული არ არის მერვედფინალის გრაფები და თასისათვის მებრძოლთა რიგებში უკვე სამწუხაროდ, ვერ ვხედავთ „ა" კლასის ისეთ კოლექტივებს, როგორიც არიან ცსკა, მოსკოვის „დინამო", ტაშკენტის „პახტაკორი" და სხვ. ეს ის გუნდებია, რომლებმაც მატჩები წააგეს მეორე ეშელონის წარმომადგენლებთან — „ბ" კლასის გუნდებთან.

რა მდგომარეობაა დღეისათვის სსრ კავშირის თასის გათამაშებაში?

„ა" და „ბ" კლასის თითო გუნდს—მოსკოვის „ლოკომოტივსა" და სტალინოგორსკის „ხიმიკს" უკვე მეოთხედფინალში ვხედავთ. გამოვლინდა მერვედფინალის ორი წყვილი. ესენი არიან დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბისა და მოსკოვის „სპარტაკის" გუნდები, აგრეთვე ბაქოს „ნეფტიანიკი" და პავლოვის „ტორპედო". მერვედფინალში თავიანთ მეტოქეებს მოელიან კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი", ლენინგრადის „სპარტაკი", სტალინოს „შახტიორი".

თასის გასული წლის ფინალისტები მოსკოვის „ტორპედო" და თბილისის „დინამო" ჯერ არ გამოსულან მეთექვსმეტედფინალიდან. ტორპედოელებმა უნდა ითამაშონ კურსკის „შრომითი რეზერვებთან", ხოლო თბილისის დინამოელებმა ხარკოვის „ავანგარდთან".

29 აგვისტოს ლენინგრადში შედგა თასის კიდევ ერთი მატჩი ადგილობრივი „ადმირალტეეცისა" და ქ. სერპუხოვის გუნდებს შორის. როგორც ძირითად, ისე დამატებით დროში შეჯიბრების შედეგი იყო 2:2. გუშინ გაიმართა ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა ანგარიშით 3 : 2.

გრიბოედოველთა ახალი სეზონი

თბილისის თეატრები ახალი 1961-62 წლის სეზონისათვის ემზადებიან. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ამ დღეებში ეწვია თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს პ. ლ. მურღულიას და ესაუბრა თეატრის კოლექტივის შემოქმედებით გეგმებზე ახალ სეზონში. მან მოგვითხრო:

—ზაფხული ჩვენმა თეატრმა საგასტროლო მოგზაურობაში გაატარა უკრაინაში. სპექტაკლები გავმართეთ დნეპროპეტროვსკში, დნეპროძერჟინსკში, ნოვომოსკოვსკში, ნიკოპოლსა და პავლოგრადში. სულ 54 სპექტაკლი ვუჩვენეთ. რეპერტუარში გვქონდა 8 დასახელების პიესა, მათ შორის „მგზნებარე მეოცნებე", „მედოლე ქალი", „აფროდიტეს კუნძული", „თხუნელა", „საქმოსანი".

ახალი სეზონი, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ჩვენი მაყურებლისათვის. რეპერტუარში შეტანილი გვაქვს რამდენიმე ახალი დადგმა, მათ შორის ვ. პანოვას „თეთრი ღამეების გაცილება", ე. რანეტის „ბრაკონიერები", ა. გაბრიელაშვილისა და ე. კალანდაძის „ბალადა პატიოსნებაზე", ძმები ტურების „ჩრდილოეთის მადონა", ო. უაილდის „ლედი უინდერმირის მარაო". პირველი ორი მათგანი ნაჩვენები იქნება მიმდინარე წლის ბოლომდე.

ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრების დიდ მოვლენას —სკკპ მომავალ XXII ყრილობას თეატრის კოლექტივი მიუძღვნის თავის ახალ დადგმას—გრ. აბაშიძის პიესას „მოგზაურობა სამ დროში". პიესის დადგმაზე მუშაობს თეატრის მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. რუბინი. სპექტაკლს მხატვრულად გააფორმებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი მხატვარი დ. თავაძე, მუსიკას წერს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კომპოზიტორი ა. ბუკია.

სტაციონარზე სეზონს ვხსნით დღეს, 31 აგვისტოს პრემიერით. წარმოდგენილი იქნება ცნობილი ესპანელი დრამატურგის ა. კასონას სამმოქმედებიანი კომედია „მესამე სიტყვა", რომელიც დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. ჭელიძემ, მხატვრულად გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ე. დონცოვამ, ხოლო მუსიკა დაწერა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა კომპოზიტორმა ა. კერესელიძემ.

განზრახული გვაქვს ჩვენს სპექტაკლში გამოსასვლელად მოვიწვიოთ მოსკოვის თეატრების ცნობილი მსახიობები ბისტრიცკაია, ჟაროვი, ბაბოჩკინი და სხვები. ახალ სეზონში ერთერთი პიესის დამდგმელად მოწვეული გვყავს რსფსრ სახალხო არტისტი ი. მ. თუმანიშვილი.

საერთაშორისო შეხვედრა

გუშინ მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში მოსკოვის „ლოკომოტივისა" და მალის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ლოკომოტიველებმა ანგარიშით 6 : 2.

მორიგ შეხვედრებს სტუმრები ჩაატარებენ თბილისში, მინსკსა და ლენინგრადში.

კომუნისტი სპორტი

წარმტაცი სანახაობა

თბილისელ მაყურებლებს პირდაპირ მოსვენება აღარ აქვთ. სპორტის სასახლეში ზედიზედ იმართება სეზონის საუკეთესო ასპარეზობები — საერთაშორისო შეხვედრები, საკავშირო ჩემპიონატის მატჩები.

ერთ-ერთი მათგანი გუშინდელი საერთაშორისო შეხვედრა იყო ტანვარჯიშში ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს კოლექტივებს შორის.

ამ ორი ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა გამოსვლას უფრო საჩვენებელი ხასიათი ჰქონდა, ვიდრე შეჯიბრებისა.



სტუმრებიდან დვირზე და თავისუფალ ვარჯიშში საერთო მოწონება დაიმსახურა მ. გროსფელდმა. რგოლებზე ვარჯიშში საუკეთესო იყო თბილისელი აივაზიანი. ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიშში ყურადღება მიიპყრო შარაბიძემ და ცნობილაძემ. ქალთა შორის თავისუფალ ვარჯიშში წარმატებით გამოვიდა ნინოშვილი, ღერძზე ვარჯიშში ვაჟთა შორის — კაჭახიძე. სტუმართა შორის თავისუფალ ვარჯიშში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ა. გროსფელდმა და ვეგამ.

• • •

სურათებზე: ზევით — საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ტანმოვარჯიშეთა ერთი ჯგუფი შესვენების დროს. ქვევით — ამერიკელი მ. გროსფელდი ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიშის დროს.

ფოტო ბ. დადვაძისა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

31 აგვისტო

თეატრები: გრიბოედოვის სახელობის — მესამე სიტყვა.

ტელევიზია 12.00 — მხატვრული ფილმი „ზღაპარი რუხ მგელზე", 18.00 — მოსწავლეთათვის — „ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი გადაცემა", 18.20 — კინოჟურნალი, 18.30 — სატელევიზიო ჟურნალი „იავნანა", 19.30 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.45 — სპორტული გადაცემა. სპორტული გადაცემის შემდეგ მხატვრული ფილმი „ხმაურიანი დღე".

სიბნელიდან სინათლისაკენ

ყოფილ მორწმუნეთა ნაამბობიდან

უბრალოდ, გასაგები ენით მოგვითხრობენ ყოფილ მორწმუნეთა წერილები. არც კი გჯერა, რომ სინამდვილეში ასეთ სიმახინჯეს ჰქონდა ადგილი. სხვადასხვა ასაკისა და განათლების მქონე სექტანტები გულწრფელად აღიარებენ, თუ რა საზიანო, ანტისაზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდნენ ისინი, როცა ფანატიზმის, ბნელეთის ტყვეობაში იყვნენ. აი მათი ნაამბობი.

ანატოლ კომი: 15 წლისა ვიყავი, როცა მორწმუნე მშობლების გავლენით სექტანტი გავხდი. ჩვენი სექტა ამ დროს მაიკოპიდან ქ. ბათუმში გადმოვიდა „წინასწარმეტყველ" მარიამ ონიპკოს წინადადებით, თითქოსდა ხვთაებას ასე ნებავსო. ბათუმში სექტამ ფართო მუშაობა გააჩაღა. სექტას ვხელმძღვანელობდით მეთოდე ბიდნენკო, იოსებ კოზუბი, ივანე სტანკევიჩი, პეტრე დუბროვსკი და მე. ღმერთის სახელით ვუკრძალავდით სექტის წევრებს კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებში შესვლას, გაზეთებისა და ჟურნალების კითხვას, კინოში, თეატრებსა და სხვა კულტურულ დაწესებულებებში სიარულს.

სექტის წევრებმა ივანე ლაფარგმა და პირადად მე უარი ვთქვით საბჭოთა მოქალაქისათვის ბევრ სავალდებულო საქმიანობაზე, რისთვისაც სასჯელიც მოვიხადეთ. გვიან შევიგნე, თუ რა „წმინდანებთან" მქონდა საქმე.

მეთოდე ბიდნენკო ორჯერ იყო გასამართლებული ანტისაზოგადოებრივი საქმიანობისათვის და ოჯახის ორჯერ დანგრევის გამო. ივანე სტანკევიჩი დიდი სამამულო ომის დროს ჰიტლერულ გესტაპოს მიეყიდა. ომის დამთავრების შემდეგ 25 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, საბჭოთა მთავრობამ მას შესაძლებლობა მისცა პატიოსნად ეცხოვრა, მაგრამ იგი ძველებურ ყაიდაზე განაგრძობდა „მოღვაწეობას". სექტანტი მარიამ ონიპკო „წმიდანად" ცნობდა თავს, რამდენჯერმე გათხოვდა და თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდა.

უკვე 27 წლის კაცი ვარ. ახლახან გავიგე, რა არის კინო, თეატრი, გაზეთი, წიგნები. ჩემს წინ ნათელი ცხოვრება გადაიშალა. ადვილი არ იყო აქამდე მოსვლა, ცხოვრების ძნელი გზა გავიარე, საბოლოოდ მაინც სინათლეზე გამოვედი.

მარიამ სტეპანკოვა: ახლა სოხუმის რაიონის სოფელ გულრიფშში ვცხოვრობ. ომის დამთავრების შემდეგ კიროვაბადში ვიყავი. სამწუხაროდ, იქ გავიცანი სექტანტები. ქმარი ომში დამეღუპა, მარტოხელად დარჩენილს ცხოვრება მიჭირდა და სწორედ ამ დროს ჩამითრიეს სექტანტებმა თავიანთ კლანჭებში. შემდეგ ეს სექტა ქ. სოხუმში გადმოვიდა მიხეილ შაპოშნიკოვისა და აკულინა საპრინას ხელმძღვანელობით. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ახალგაზრდები ჩაეთრიათ სექტაში. მაგალითად, სოხუმის მე-3 საშუალო სკოლის ყოფილმა მოსწავლემ იური აშკალოვმა სექტანტების ჩაგონებით დაანება თავი სწავლას, გამოვიდა პიონერული ორგანიზაციიდან და ბოლოს ფანატიკური მორწმუნე გახდა. იგი არ ყოფილა პირველი და უკანასკნელი.

მ. სტეპანკოვა: — სპეციალობით აგრონომი ვარ. — სექტანტებმა გადაწყვიტეს ჩემი მოწყობა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. არ იფიქროთ, რომ ისინი ჩემს კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ. მათი მიზანი იყო ჩემი გამოყენება ინსტიტუტის სტუდენტებს შორის რელიგიური პროპაგანდის გასაწევად.

მიხეილ შაპოშნიკოვი, ყოფილი კულაკი, ჩვენს ქვეყანაში კოლექტივიზაციის განხორციელების მტერი, ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის რამდენჯერმე იყო გასამართლებული. სიწმინდეზე ქადაგებდა და ყოველივე უმსგავსოების განსახიერებას კი წარმოადგენდა. დატოვა ოჯახი — მეუღლე და ორი შვილი. მის მარჯვენა ხელს აკულინა საპრინას კი განქორწინების სამი ასლი აქვს ხელზე.

ტყვარჩელში მცხოვრებმა ტარას ჩერნოვმა ბევრი პატიოსანი ადამიანი ააცილა წესიერი ცხოვრების გზას. მათ რიცხვში მოჰყვნენ ალექსანდრე და ფილიპე შევიაკოვები, პეტრე და ნადეჟდა ნოვიკოვები; ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მუშები მ. ფედორენკო, მარიამ სლონი და სხვები.

ტ. ჩერნოვი და მისი თანამოაზრე სოხუმელი ნიკოლოზ ბოეიკი „ირწმუნებიან", რომ 1959 წელს 13 დეკემბერს მათ საუბარი ჰქონდათ იესო ქრისტესთან. ამ „ღვთის მოციქულებს" მხარში ედგა რ. პოდანოვი, რომლის ქალიშვილები ახლა პატიმრობაში არიან — ერთი ქურდობისათვის, მეორე კი ცუდი ყოფაქცევისათვის. თვით პოდანოვიც ამჯერად დაფნის სპეკულაციისათვის არის დაპატიმრებული და ღმერთს შესთხოვს პატიებას. ტ. ჩერნოვი უფრო მოქნილი დიპლომატია. მან ფანატიკურად მორწმუნე ე. შევიაკოვს სახლი გააყიდვინა და ფული თვითონ მიისაკუთრა, ვითომდა ღვთის საქმეს მოახმარა.

სამწუხარო ის არის, — გვიამბობს ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის მუშა პ. ხარკოვსკი, რომ ჩერნოვი აქტიურებს თავის ბნელ საქმიანობას. მისი მოადგილე 25 წლის ვალერიან კოტი სამი თვე თბილისელ „ორმოცდაათიანელებთან" იყო მივლინებული და „დახელოვნების" შემდეგ აქტიურ პროპაგანდას ეწევა სექტაში ახალი წევრების ჩასაბმელად.

— დიდხანს ვიყავი სექტანტების ხელში, მაგრამ მას შემდეგ, რაც კარგად გავეცანი მათს საქმიანობას, საბოლოოდ დავგმე ისინი, — აღიარებს ეფრემ სოდოიანი, ქ. ჭიათურაში მოქმედ „ორმოცდაათიანელთა" სექტის ყოფილი ხელმძღვანელი.

— „ორმოცდაათიანელები" სექტის წევრებს ცივ ამინდში ვნათლავდით მდინარეში. სკკპ წევრის სერგო ბოყოველის ცოლიც მდინარეში მოვნათლე, რის შემდეგ იგი გაცივდა და ავად გახდა. როგორც ყველა სექტანტმა, მან უარი თქვა წამლების მიღებაზე და ბიბლიის კითხვით მოინდომა განკურნება. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი გარდაიცვალა და ობლად დატოვა სამი ბავშვი.

ერთნაირია ნადია ზაკომორკინას და მარიამ სტეფანოვას ცხოვრება. პირველი ქალაქ გაგრაში მოქმედ „ორმოცდაათიანელთა" სექტის წევრი იყო, მეორე კი გუდაუთის რაიონში მოქმედი სექტისა. ორივე სიცოცხლით სავსე ახალგაზრდაა. მათი ქმრები ანატოლ ვოზნიარსკი და ანატოლ ეგოროვი სექტანტები აღმოჩნდნენ და ყველაფერი გააკეთეს, რომ მეუღლეები სექტაში ჩაეთრიათ. მიაღწიეს კიდევაც, ნათლობა მიაღებინეს შავი ზღვის ტალღებში, კომკავშირის რიგებიც მიატოვებინეს. პარასკევობითა და კვირაობით მთელი საათობით ლოცულობდნენ, ღმერთს შესთხოვდნენ ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის კეთილდღეობას.

...ირინე გამყრელიძე, ვალენტინა მეზენცევა, ირაკლი გამრეკელი, ტაისა ბელაშოვა და სხვები ქ. თბილისში მოქმედ „ორმოცდაათიანელთა" სექტის ყოფილი წევრები არიან.

ამ სექტის შეკრებები, ისევე როგორც ყველა სექტისა, ადამიანთა ფიზიკურ და გონებრივ დაკნინებას იწვევს.

სექტის რიტუალი, დღესასწაულები ადამიანს როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად ამახინჯებს. სექტის ხელმძღვანელებმა ტ. ბიზიაევმა და ვ. ჟელტკოვმა მტკვარში მონათლეს ვ. მელიხოვი. იგი ნათლის შემდეგ გაცივდა. სექტანტებმა უარი თქვეს საექიმო დახმარებაზე. რამდენიმე დღის შემდეგ მელიხოვი გარდაიცვალა.

არ დაავიწყდება საშინელი დღე ნადეჟდა ნიკიტინასაც, რომელსაც ამავე სექტის მესვეურებმა „ლოცვა-კურთხევით" ერთი წლის ბავშვი მოუკლეს. ბევრი ოჯახი დაანგრიეს თბილისელმა სექტანტებმა. ანა ასაევა თბილისის ქაღალდის ფაბრიკაში მუშაობს. მისი ვაჟიშვილი თავის ცოლშვილთან ერთად იძულებული გახდა ოჯახიდან წასულიყო. მეორე შვილი მარიამი დედამ ვერ ჩაითრია სექტაში. მარიამი ჩვიდმეტი წლისაა, დედა ყოველ მხრივ ავიწროებს, ქალიშვილი იძულებულია დატოვოს დედა და დაიწყოს დამოუკიდებელი ცხოვრება.

ქ. თბილისში მოქმედ „ორმოცდაათიანელთა" სექტა მჭიდრო კავშირში იმყოფება რუსთავის სექტანტებთან, რომლებსაც არაქელ ხეჩიანი ხელმძღვანელობს. ამ ბოლო დროს მათ გააქტიურეს მუშაობა. სექტის ბნელ კლანჭებში ჯერ კიდევ მოქცეულია ახალგაზრდების ნაწილი. დროა ისინი ჩაუფიქრდნენ ყოფილი სექტანტების ნაამბობს და ცხოვრების სწორ გზაზე დადგნენ.

დ. გეგეშიძე.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:
თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების—3-63-03, პასუხისმგებელი მდივნის—3.72.80, სამდივნოს — 3.81.65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის—3.57.61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის—3.81.84, სოფლის მეურნეობის—3.82-16, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების—3.80.84, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის—3.16.90, წერილების—3.78-24, საილუსტრაციო—3.20.43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3.08.67, განცხადებების მიღების — 3.64.42.

უე 01124
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14,